აქცია სტაბილურობის წინააღმდეგ
A2

მოკლე სხდომა ხანგრძლივი შესვენებებით
A3

სიყვარული და ზარმაცი ნიჭიერება
A6

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 29 ნოემბერი, 2005 წელი. №264 (1164) | ფასი 50 თეთრი

IWPR

ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს:
http://www.iwpr.net/sub-form.html

A4

სამართალი

კოკოიითის ხელისუფლება და რუსი სამშვიდობოები ბრალდებებს უარყოფენ

ჩოჩიევის მტკიცებით, ოფიციალური თბილისი კონფლიქტის ძალისმიერად მოგვარებისთვის ემზადება და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების დისკრედიტაციის პოლიტიკას მიზანმიმართულად ახორციელებს.

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	29/11	30 /11
თბილისი	16	17
ტყიბული	21	17
სოხუმი	21	15
დმანისი	13	12
გორი	16	13
ონი	15	11
ზუგდიდი	23	19
ახმეტა	16	16
გაგრა	18	15
სამტრედია	22	20

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7900
ევრო	2.0919
ბირვანძა სტერლ.	3.0539
რუბლი	0.0620

ამბები	A 2
ამბები	A 3
პროექტი	A 4
სამართალი	A 5
სპორტი	A 6
რევიუ	A 7
სხვადასხვა	A 8

პარლამენტში ცხელი პოლიტიკური ზამთარი დგება

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის მომავალი კვირის პლენარული სხდომების "შენიუ" საკმაოდ მრავალფეროვანია. ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მასში შეტანილი აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური საკითხები მწვავე პოლიტიკური "სანელებლებით" არის შეზავებული. თავად განსაჯეთ: 6-9 დეკემბრის პლენარულ სხდომებზე დეპუტატები იმსჯელებენ 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტსა და მიმდინარე წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულებაზე; მეორე მოსმენით განიხილავენ კანონპროექტს "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ"; მორიგ ცვლილებებს შეიტანენ საარჩევნო კანონმდებლობაში; პირველ ნაბიჯებს გადადგამენ საპენსიო სფეროს რეფორმირების გზაზე. მართალია, დღის წესრიგი დსთ-დან საქართველოს გამოსვლის მიზანშეწონილობის შესახებ დებატებს არ ითვალისწინებს, მაგრამ უახლოეს ხანში ეს თემა "პოპულარობას" კვლავ შეინარჩუნებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

ეკატერინა ფოფანა

პარლამენტის ბიურო დსთ-დან გამოსვლის საკითხს დაუბრუნდა.

დიდი გზის პატარა მონაკვეთზე

სოფიო თოდუა

შვიდი წლის წინათ, ზამთრის ერთ სუსხიან დღეს, "აბრეშუმის სახლში" მოვხვდი. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამ არაჩვეულებრივი ფასადის მიღმა ნამდვილი ოაზისი დამხვდებოდა. შემიძლია გითხრათ, რატომაა კარგი საქართველოს სხვა დანარჩენი მუზეუმები, მაგრამ რა ხიბლავს მნახველს აბრეშუმის მუზეუმში ან მეაბრეშუმეობის ბიბლიოთეკაში, ამის ახსნა გამიჭირდება. ძნელი დასაჯერებელია, რომ აბრეშუმის პარკის ნიმუში, სასელექციო დანადგარი ან სულაც ერთი შეხედვით ჩვეულებრივი წიგნი ისეთივე მიმზიდველია, როგორც კარგი ნახატი ან არქეოლოგიური ექსპონატი. ეს ის შემთხვევაა, როცა ყველაფერი საკუთარი

ეკატერინა ფოფანა

მუზეუმის დირექტორი ქალბატონი ირინე ჭოტორლიშვილი.

თვალით უნდა იხილო. წინანდლის არ იყოს, აქაურობა იმდენად კარგადაა მოვლილი, ვერც კი იჯერებ, რომ ჩვენი დროის საქართველოში იმყოფები. კავშირი რეალობასთან, სამწუხაროდ, მხოლოდ იმით მყარდება, რომ ეს უნიკალური მუზეუმიცა და ბიბლიოთეკაც, შესაძლოა, ქუჩაში აღმოჩნდნენ და ხვალ-ზეგ ცაბაძის ექვს ნომერში სულ სხვა პროფილის დაწესებულება დაგვხვდეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

ჩეჩნეთის არჩევნები - დახურული თემა

ნანა ნასყიდაშვილი

ჩეჩნეთში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი კმაყოფილია, ხოლო რესპუბლიკის პრეზიდენტის ალუ ალხანოვის თქმით, არჩევნები სამართლიანად, დარღვევების გარეშე ჩატარდა. თუმცა, ჟურნალისტების განცხადებით, რომლებიც საარჩევნო პროცესის მიმდინარეობას თვალს ადევნებდნენ, ზოგიერთ უბანზე პოლიტიკურ პარტიათა, ძირითადად "ედინაია რასიას", საარჩევნო პლაკატები იყო გამოკრული.

გაგრძელება A3 გვერდზე

დემოკრატია 500 ათას ლარად

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესი, რომელსაც პარლამენტს იურიდიულ საკითხთა კომიტეტი სთავაზობს, "რესპუბლიკელებს" არადემოკრატიულად მიაჩნიათ. პარლამენტი საბოლოო სიტყვას მთავრობისგან ელის.

ნანა ქადაგიშვილი

საარჩევნო კოდექსისა და პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის ცვლილებების უმრავლესობის მიერ მომზადებული პროექტი, რომელიც პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესს განსაზღვრავს, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პირველი მოსმენით მიიღო. პლენარულ სხდომაზე მისი განხილვა უახლოეს ორ კვირაში იგეგმება.

საარჩევნო კოდექსში შესატანი დანარჩენი ცვლილებებისგან განსხვავებით, აღნიშნული ცვლილებების პროექტის განხილვა შედარებით მშვიდ ფონზე მიმდინარეობს. პარტიების დაფინანსების საპარლამენტო უმრავლესობის მიერ შემუშავებულ წესს, ძირითადად, "რესპუბლიკელები" ეწინააღმდეგებიან და იურიდიულ საკითხთა კომიტეტს საკუთარ ვარიანტს სთავაზობენ. **"პარტიების დაფინანსების ჩვენეული ვარიანტი მისაღები იქნება ყველა პოლიტიკური პარტიისთვის, მათ შორის, "ნაციონალური მოძრაობისთვისაც,"** - აცხადებენ "რესპუბლიკელები".

ცვლილებების კანონპროექტის უმრავლესობისეული ვარიანტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხოლოდ ის პარტიები დაფინანსდება, რომელთაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში ოთხპროცენტიანი ბარიერი გადალახეს. თანხები კი პარტიებზე საარჩევნო ობიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით გადანაწილდება. 2000-მდე თითოეულ ხმაზე 2 ლარი გამოიყოფა, 2000-5000-მდე - 3,5 ლარი, 5000-ის ზევით კი - 4,5 ლარი. პოლიტიკური პარტიები ვალდებულნი არიან, მიღებული დაფინანსების ხარჯთაღრიცხვა ცენტრალურ საარჩევნო ან საოლქო კომისიებს სისტემატურად მიაწოდონ. იგივე ვალდებულება ეკისრებათ საინფორმაციო საშუალებებს, რომელნიც საარჩევნო სუბიექტისგან დაფინანსებას მიიღებენ. რაც შეეხება ფარულ შემოწირულობებს, კანონპროექტის მიხედვით, იგი 30 ათას ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

არასამთავრობები საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისთვის ერთიანდებიან

ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო", "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", "საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია", "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" და "ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი" "საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისთვის" კოალიციაში გაერთიანდნენ და გუშინ, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. როგორც პრეზენტაციაზე "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ანა დოლიძემ განაცხადა, კოალიციის შექმნის მთავარი მიზანი საზოგადოების საბიუჯეტო პროცესებში ჩართვაა, რათა მან ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის მაკონტროლებლისა და დამბალანსებლის როლი შეასრულოს.

"კოალიციის მიზანია, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა იცოდეს, რა შემოსავლები შედის სახელმწიფო ბიუჯეტში და რაში იხარჯება ისინი," - აცხადებდა გუშინ "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე ანა დოლიძე.

კოალიციის პრეზენტაციას საქართველოს ფინანსთა მინისტრი ლექსო ალექსიშვილი, სახელმწიფო მინისტრი ეკონომიკური რეფორმების საკითხში კახა ბენდუქიძე, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე, ბიზნესმენთა ფედერაციის წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ. ლექსო ალექსიშვილი კოალიციის შექმნას მიესალმა.

"ბიუჯეტი ხალხისთვის, სახელმწიფოსათვის შექმნილი ფინანსური დოკუმენტია და საბი-

გაგრძელება A3 გვერდზე

გამოძიებას დამნაშავის მფარველობაში ადანაშაულებენ

უკვე ორი წელია, რაც სიმონიშვილის ოჯახის წევრები სამართალს ეძებენ, თუმცა - უშედეგოდ. სიმონიშვილის ოჯახი ახლა დახმარებას უკვე ჟურნალისტებს სთხოვს. საქმე ისაა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევამ, რომელიც გურჯაანი-თბილისის ავტომაგისტრალზე - "მარკეტი 2000"-ის წინ მოხდა, 21 წლის ვეფხია სიმონიშვილის სიცოცხლე შეიწირა. მართალია, პოლიციამ დამნაშავე მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავა, მაგრამ, გურჯაანის მაშინდელი პროკურორის რევაზ ჩივიაშვილის ბრძანებით, იგი მეორე დღესვე თავდებით გაათავისუფლეს.

ზვიად რუაძე
კახეთიდან

"როგორც თვითმხილველები ამბობენ, მძღოლმა, გაჩერების ნაცვლად, სიჩქარეს უმატა და მანქანამ ვეფხია 15 მეტრის მანძილზე ათრია. ამის გამო, მან თავის არეში უძლიერესი ტრავმა მიიღო," - ამბობს გარდაცვლილის მამა. მომხდარს, ვეფხია სიმონიშვილის ორი მეგობრის და ტაქსის მძღოლის გარდა, თვითმხილველი პოლიციელებიც ჰყავს, რომლებმაც დამნაშავის შეჩერება გამაფრთხილებელი გასროლის შემდეგ მოახერხეს. კონსტანტინე ღირსიაშვილი, რომელიც მანქანას მართავდა, გურჯაანის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს, თუმცა მეორე დღესვე თავდებით გაათავისუფლეს. საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის გურჯაანის განყოფილების გამომძიებელი დავით გოდელაშვილი იძიებდა. ვეფხიას მამა გოდერძი სიმონიშვილი ამბობს, რომ გამომძიებელი მას სხვადასხვა დაპირებით იშორებდა თავიდან. **"გამომძიებელი გამწარებულ მამას მამშვიდებდა, მეუბნებოდა, ის არსად წამსველელი არ არის, რადგან დავით საგინაშვილი, რომელიც დამნაშავის თანაკლასელი ყოფილა, სიტყვიერად უდგას თავდებადო. განა ასეთ დანაშაულზე სიტყვიერი თავდება საკმარისია? მოგვიანებით კი საქმის გამომძიებელმა თავისი სიტყვები უარყო. იგი ცდილობდა, დრო გაეწელა, მე კი გამომძიებელს ყველანაირად ვენდობოდი. ახლა ვხვდები, რომ მან მწარედ მომატყუა და დამნაშავის მიმალვას შეუწყო ხელი,"** - გვიამბობს გოდერძი სიმონიშვილი.

გაგრძელება A5 გვერდზე

ენერგოკრიზისი კახეთში - მოსახლეობა აქციებით იმუქრება

კახეთის სოფლების უმრავლესობა კვლავ მწვავე ენერგოკრიზისს განიცდის, რის გამოც მოსახლეობა პროტესტის ნიშნად უკვე მეორედ კეტავს თბილისი-თელავის ცენტრალურ ავტომაგისტრალს. მოსახლეობის თქმით, იმის მიუხედავად, რომ დახარჯული კილოვატების საფასურს იხდიან, მათ შუქი რამდენიმე კვირაა არ მიეწოდებათ. გაკოტრების სტადიაში მყოფი "კახეთის ენერგოდისტრიბუცია" კი, თავს იმით იმართლებს, რომ მომხმარებელი გახარჯული ელექტროენერგიის საფასურს არ იხდის.

ზვიად რუაძე
კახეთიდან

უკვე ორი კვირაა, რაც კახეთის რეგიონის სოფლებს ელექტროენერგია არ მიეწოდებათ. საპროტესტო აქციებმა სტარტი გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდრიდან აიღო. ხალხი, რომელიც ამბობდა, რომ მათ დენის საფასური გადახდილი აქვთ, იძულებული გახდა ცენტრალურ გზაზე მოძრაობა შეეჩერებინა. ასეთი გამოსვლით მათ თავიანთ მიზანს მიაღწიეს და სოფელს დენის მიწოდება მალევე აღუდგა.

ელექტროენერგიის მწვავე კრიზისი გამო აქციები გამართა სოფელ ჩუმლაყის მოსახლეობამაც. ძირკოკელები კი აქციებისთვის ემზადებიან. **"ხელისუფლების იმედი საერთოდ აღარ მაქვს. ამას გვპირდებოდნენ ორი წლის წინ? მშიერი, უწყლოდ და უდენოდ ვარ. პენსიის აღებისას იქვე სხედან და ხალხისგან გადასასხადს იღებენ, ახლა კი დენი გათიშეს. მთავრობას ხალხის მდგომარეობა არაფრად მიაჩნია. ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს?"** - კითხულობს სოფელ ძირკოკის მცხოვრები მარგო გაბოშვილი.

როგორც კახელები ამბობენ, კახეთის ენერგოდისტრიბუცია მოსახლეობას ეგზეკუციას უწყობს. კომპანიის წარმომადგენლები დახარჯული კილოვატების გადახდას წინასწარ ითხოვენ. **"გადასახადს წინასწარ ითხოვენ. თვის დასაწყისში ხალხს ფული არა აქვს, ვინც მუშაობს, ხელფასი არ აუღია და ჯერ არც პენსიებია. ხალხმა ფული როგორ იშოვოს? მოსახლეობა ფიქსირებულ გადასახადს (5 ლარს) იხდიდა, ახლა 10 ლარს ითხოვენ. ეს საკითხი ოდესმე ხომ უნდა გადაიჭრას? მოსახლეობა საპროტესტო გამოსვლას აპირებდა, მაგრამ მე, რა თქმა უნდა, ამის მომხრე არა ვარ, ეს არ არის მართებული, მაგრამ გამგეობამ რაღაც ღონისძიებას უნდა მიმართოს და სოფელს დენის მიწოდება აღუდგინოს. ხალხს თავად ხელისუფლებამ დაუკარგა გადახდის უნარი,"** - ამბობს სოფელ ძირკოკის საკრებულოს თავმჯდომარე ბორის ფენაშვილი.

კახეთის ენერგოდისტრიბუციის გაკოტრების მმართველი ზურა ჯანჯღავა კი, სოფლებში შექმნილ ენერგოდეფიციტს იმით ხსნის, რომ სოფლებს დიდძალი დავალიანება აქვთ: **"ყველა სოფელში გამოკრულია სიები, სადაც ასახულია, რომელმა მოსახლემ რამდენი ელექტროენერგია დახარჯა და რამდენი გადაიხადა. სოფლებში გამსვლელი სალარო გვაქვს, სადაც ნებისმიერ მოსახლეს შეუძლია გადაიხადოს დავალიანება. სოფელს, რომელსაც ენერგოდისტრიბუციის ვალი არ აქვს, დენი უპრობლემოდ მიეწოდება."** - ამბობს ზურაბ ჯანჯღავა.

აღსანიშნავია, რომ რეგიონში ენერგოდეფიციტი მას შემდეგ დაწყო, რაც "კახეთის ენერგოდისტრიბუციაში" ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა. ამ დროისთვის შუქის გარეშეა დარჩენილი სიღნაღის და ლაგოდეხის რაიონები, ხოლო იქ, სადაც ჯერ კიდევ ანათებს "ილიჩის ნათურა", ელექტროენერგია რვა საათიანი გარფიკით მიეწოდებათ.

იმ შემთხვევაში, თუ კახეთში ენერგომომარაგება დროულად არ აღდგა, მოსახლეობა მასობრივი გამოსვლით იმუქრება.

"გაზპრომის" გადაწყვეტილება სამომხმარებლო ტარიფს 32 პროცენტით გაზრდის

გაზის საფასურის 110 დოლარამდე გაზრდის შესახებ "გაზპრომის" გადაწყვეტილება საქართველოში ბუნებრივი აირის სამომხმარებლო ტარიფს 32 პროცენტით გაზრდის. როგორც საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორმა ივერი შალამბერიძემ განაცხადა, რუსეთიდან საქართველოსთვის მოწოდებული 1000 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ფასი თუ 110 დოლარამდე გაიზრდება, თბილისში 1 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ფასი 33-34 თეთრი გახდება.

"მატება უფრო მეტი იქნებოდა, რომ არა ის რეზერვი, რომელიც "თბილგაზის" ტარიფში დოლარის კურსის ვარდნის შედეგად წარმოიშვა. ბუნებრივი აირის ფასი შედარებით უფრო მეტად გაიზრდება რეგიონებში. მაგალითად, ქუთაისში 1 კუბური მეტრი ბუნებრივი აირი 35-36 თეთრი ეღირება," - განაცხადა შალამბერიძემ. მისივე თქმით, ბუნებრივი აირის მოწოდების საფასურის გაზრდა ადეკვატურად აისახება ელექტროენერგიის საფასურზეც, რადგან თბოელექტროსადგურების ტარიფის 70 პროცენტი ბუნებრივი აირის საფასურია.

ტარიფების კორექტირება არ მოხდება მანამდე, ვიდრე გაზგამანაწილებელი კომპანიები ბუნებრივი აირის მომწოდებელ კომპანიასთან ხელშეკრულებებს არ გააფორმებენ. სემეკმა ტარიფების კორექტირება მხოლოდ ამ ხელშეკრულებების საფუძველზე უნდა განახორციელოს.

შეგახსენებთ, რომ "გაზპრომის" მიერ საქართველოსთვის მოწოდებული 1000 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის საფასური 63 დოლარიდან 110 დოლარამდე 2006 წლის 1 იანვრიდან გაიზრდება.

ინტერპრესნიუსი

სტატისტიკის დეპარტამენტმა სისტემის განვითარების პროგრამების პრეზენტაცია გამართა

გუშინ სტატისტიკის დეპარტამენტმა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისათვის სტატისტიკის სისტემის განვითარების პროგრამების პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაცია, რომელიც სასტუმრო "თბილისი მერიოტში" გაიმართა, UNFPA-ს ხელშეწყობით ჩატარდა. შეხვედრას საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზაზა ბროლაძემ სტატისტიკის ეროვნული სისტემების განვითარების ძირითადი მიმართულებები წარმოადგინა. როგორც ბროლაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, სტატისტიკის დეპარტამენტი 2010 წლის აღწერისათვის ემზადება, პროგრამა უკვე მომზადებულია და გაწერილია ღონისძიებების მიხედვით. მისი თქმით, შესაძლოა აღნიშნული პროგრამა გაეროს მოსახლეობის ფონდმა დაა-ფინანსოს. მისივე თქმით, მომზადებულია საკომუნიკაციო სისტემების განვითარების პროგრამა და ქვეყნის ენერგობალანსის განვითარების პროგრამა.

ინტერპრესნიუსი

აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში სამხედრო წვრთნები მიმდინარეობს

აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში გუშინ ოპერატიულ-სამობილიზაციო შეკრება დაიწყო, რაც 5 დეკემბრამდე გაგრძელდება. სწავლებაში აფხაზური შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი პირებიც მონაწილეობენ.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილისა და გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე ზაიცევის განცხადებით, სწავლებაზე თავდაცვის მინისტრი სამხედრო სასწავლო წლის შედეგებს შეაჯამებს, ხოლო "პრეზიდენტი" სერგეი ბაგაფში, როგორც რესპუბლიკის შეარაღებული ძალების მთავარსარდალი, 2006 წლის ამოცანებს დასახავს.

ზაიცევის განმარტებით, აფხაზეთში ჩატარებული და ჩასატარებელი ოპერატიულ-სამობილიზაციო სწავლებების მიზანი იმ სამხედრო ამოცანების სწორად შესრულებაა, რომლებიც შეიარაღებულ ძალებს მთავარსარდალმა განუსაზღვრა. მისივე თქმით, სწავლების პირველ დღეს მონაწილეები ლექციების კურსს მოისმენენ. მეორე, მესამე და მეოთხე დღე კი პრაქტიკულ სამობილიზაციო საქმიანობას დაეთმობა. თვითაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, სწავლების მონაწილეები ვარჯიშებს ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებაში, სროლაში და სამობილიზაციო საქმიანობის მეთოდიკაში გაივლიან და ამ დისციპლინებში ჩათვლებსაც ჩააბარებენ.

ზაიცევის მტკიცებით, სწავლების მეხუთე დღეს სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდება, რომელიც სწავლების შედეგების შეჯამებას მიეძღვნება. აფხაზეთში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ხუთი ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლება ჩატარდა. აფხაზეთში წვრთნები რუსეთის ხელისუფლების სამხედრო და ფინანსური წრეების დახმარებით ხორციელდება.

ინტერპრესნიუსი

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" დევნილთა პრობლემებით დაინტერესდა

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" დაიწყო მოლაპარაკების კვირეული ეგიდით "ლტოლვილთა და დევნილთა პრობლემები კავკასიაში." კვირეულის ორგანიზატორია დევნილთა და ლტოლვილთა პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანება CRINGO. ხსენებული ორგანიზაცია დევნილთა პრობლემებით ჯერ კიდევ 2002 წელს დაინტერესდა.

გვანცა გულიაშვილი

კვირეულის მიზანია, გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და საზოგადოებას შეახსენოს, რომ ასი-ათასობით ადამიანი საზოგადოებისა და ხელისუფლების მხარდაჭერას ელოდება. CRINGO-ს ქსელის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები კვირეულის განმავლობაში შეხვედრებს გეგმავენ მინისტრებთან, პარლამენტარებთან, მერებთან, სხვადასხვა დეპარტამენტის თანამშრომლებთან, ბიზნესმენებთან, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან.

კვირეულის ეგიდით განიხილება ის სპეციფიკური პრობლემები, რომლებიც მხოლოდ დევნილ და ლტოლვილ მოსახლეობას აქვს. კვირეულის ორგანიზატორებმა საგანგებოდ შეადგინეს პროგრამა, სადაც ჩამოყალიბებულია იმ პრობლემათა სრული ნუსხა, რომელთა განხილვაც მოცემულ ვადაში იგეგმება. როგორც ჩვენთან საუბარში არასამთავრობო ორგანიზაცია "თანხმობის" თავმჯდომარის მოადგილემ, ლია ბერიამ განაცხადა, კვირეულის ძირითადი მიზანი შემდეგი პრობლემების წარმოჩენაა: დევნილთა განსახლების და "საცხოვრებელი ვაუჩერების" გაცემაში მათი მონაწილეობის საკითხი; ბანკის შესაძლებლობები, დახმარება გაუწიოს დევნილებს მცირე ბიზნესის დაწყებაში; წყლით, ელექტროენერგიით მომარაგებისა და განსახლების საკითხები; დევნილ ახალგაზრდათა განათლება, ხელისუფლების გეგმები დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მხრივ და მთავრობის პროგრამა დევნილთა ინტეგრაციის საკითხებში.

კვირეულის ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ არსებული პრობლემებიდან ხელისუფლებასთან ერთ საკითხში მაინც თუ მიაღწევენ შეთანხმებას, მათი მიზანი შესრულებულად ჩაითვლება.

მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავთ

ბინების ხელახალი პრივატიზებისა და რეგისტრაციის შესახებ მოსახლეობაში გავრცელებული ინფორმაცია ჭორი და მიზანმიმართული პროვოკაციაა. ამის შესახებ გუშინ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ დავით ეგიაშვილმა საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა.

დიანა ჩაჩუა

"მობინადრეთა საყურადღებოდ. გლდანის 5-7 მ/რ-ს მობინადრეებს, რომლებსაც პრივატიზაცია 2002 წლამდე აქვთ გაკეთებული და არ აქვთ გატარებული საჯარო რეესტრში, რაც სავალდებულოა, გთხოვთ ინფორმაციისთვის მოგვაკითხოთ 5-7 მ/რ-ის სერვის-ცენტრში (სახლმმართველობაში)," - ასეთი შინაარსის განცხადებები, გლდანის გარდა, თბილისის თითქმის ყველა რაიონის სერვის-ცენტრებში, იგივე ყოფილ სახლმმართველობებში გაიკრა. მოსახლეობაში გავრცელებული ინფორმაციით კი ირკვევა, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულება, თუ იგი არ დარეგისტრირდება, გაუქმდება და მომავალი წლიდან რეგისტრაციის საფასური 300-დან 600 ლარამდე გაიზრდება.

ბინების ხელახალ პრივატიზებასთან დაკავშირებით დედაქალაქში ატეხილ აჟიოტაჟს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ დავით ეგიაშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა. მან უარყო ბინების ხელახალ პრივატიზებაზე გავრცელებული ყველა ინფორმაცია და მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდა.

"ყოფილ სახლმმართველობებს, საბროკერო კომპანიებსა და მაკლერებს მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავთ. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ახალი წლიდან უკვე არსებული საპრივატიზაციო ხელშეკრულებები უქმდება და სარეგისტრაციო მოსაკრებელი იზრდება. ეს შეგნებულად გაკეთებული პროვოკაციაა. პირიქით, ჩვენ რეგისტრაციის პროცედურების კიდევ უფრო გაიაფებას და გამარტივებას ვეგემავთ," - განაცხადა დავით ეგიაშვილმა. მისივე თქმით, არსებობს ინფორმაცია, რომ სერვის-ცენტრები საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარსადგენი რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოსამზადებლად არალეგალურად თანხებს იღებენ.

"საჯარო რეესტრის სააგენტოში კორუფცია აღარ არსებობს, ამიტომ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ კორუფციამ სააგენტოს გარეთ გადაინაცვლოს. არსებობს ინფორმაცია, რომ სერვის-ცენტრები სააგენტოში წარსადგენი რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოსამზადებლად არალეგალურად თანხებს იღებენ. სახლმმართველობები საქართველოში დიდი ხანია გაუქმდა, სერვის-ცენტრებს კი, უძრავი ქონების დოკუმენტაციასთან არაფერი აკავშირებთ," - აღნიშნა ეგიაშვილმა.

დიდი გზის პატარა მონაკვეთზე

ვირველი გვერდიდან

მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში კავკასიაში კატასტროფულად შემცირებულმა აბრეშუმის მოსავალმა რუსეთის იმპერია სერიოზულად ჩააფიქრა. ჩაფიქრებას პრაქტიკული ნაბიჯებიც მოჰყვა - ახალგაზრდა ნიკოლოზ შავროვი ორი წლით ევროპაში მიავლინეს ცოდნის გასაღრმავებლად. შავროვი ჭკვიანი კაცი გამოდგა, მხოლოდ მეაბრეშუმეობის სადგურის მოწყობას არ დასჯერდა და 1887 წელს იმავე შენობაში ბიბლიოთეკა და მუზეუმი გახსნა. შენობის არქიტექტორმა, ვინმე შიმკევიჩმა, საგანგებო მითითებები გაითვალისწინა და მოგვიანებით მუზეუმისა და ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილ დარბაზებში 4 მეტრის სიმაღლეზე სპეციალური კარადები და ვიტრინები დაიდგა. ინტერიერი დღესაც იგივეა. სხვათა შორის, არც ამ დარგის სპეციალისტთა აზრი შეცვლილა - ექსპერტები უნიკალურ გამოცემებსა თუ ექსპონატებზე კარგა ხნის წინათ ალაპარაკდნენ. სამწუხაროდ, ამის აღიარება ყველაზე მეტად თავად ქართველებს გვიჭირს, ან არ გვიჭირს, მაგრამ სამუზეუმო ნივთებზე მეტად მუზეუმის შენობა გვხიბლავს. არადა, ბიბლიოთეკის ყველაზე ადრეული გამოცემა 1601 წლით თარიღდება და ეს არ არის ამ წიგნთსაცავის ერთადერთი რარიტეტი. რაც შეეხება მუზეუმს, რომელსაც ლიონის აბრეშუმის მუზეუმის გვერდით იხსენიებენ, აქ დაცული ნატურალური კოლექციები, მოდელები, მაკეტები თუ ხელსაწყოები, შემონირულობების სახით, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოხვდა. დღეს ამ უმდიდრეს კოლექციას გვერდს საქართველოში მოპოვებული თუ წარმოებული ნიმუშებიც უმშვენებს.

"აბრეშუმის სახლში" პრობლემებმა კომუნისტების დროსვე იჩინა თავი. 1930 წელს კავკასიის სააბრეშუმო სადგური ჯერ კავკასიის მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის ნაწარმის სამეცნიერო ინსტიტუტად, მოგვიანებით კი საქართველოს მეაბრეშუმეობის ინსტიტუტად გადაკეთდა. გასული საუკუნის 70-იან წლებში ინსტიტუტი ქალქგარეთ ახლადაშენებულ შენობაში გადაიტანეს. ვერ გეტყვით, მაშინაც ეჭირა თუ არა ვინმეს თვალი ამ შენობაზე, მაგრამ მუზეუმისა და ბიბლიოთეკისთვის ინსტიტუტის გვერდით ცალკე კორპუსის აშენება გადაწყდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მშენებლობა გაჭიანურდა. ამის მიუხედავად, ბიბლიოთეკა დიღომში მაინც გადაიტანეს. რატომღაც მაშინ არავის მოაგონდა, რომ ოთხმეტრიანი წიგნის კარადები დაბალჭერიან ნაგებობაში ვერ დაეტეოდა და ... ოცდაექვსენოვანი იშვიათი გამოცემები აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებ ოთახში მოათავსეს. მთელი ეს დავიდარაბა საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ თბილისის ამ ერთ-ერთ ულამაზეს ნაგებობას სპორტსაზოგადოება "დინამოს" სახით ახალი მეპატრონე გამოუჩნდა და მუზეუმი საკუთარ შენობაში უკვე მდგმური სტატუსით დარჩა. ეს უკვე 80-იან წლებში მოხდა. მაგრამ ეს ის დროა, როცა ჩვენ ძლიერ გვიყვარდა ერთმანეთი და ეროვნული მოძრაობის ტალღაზე "დინამომ" ადვილად დათმო კუთვარი სახსრებით გარემონტებული შენობა. შენობის გარემონტება კი იმან განაპირობა, რომ ინსტიტუტის დირექციამ ამ უნიკალურ კოლექციაზე რატომღაც გული აიცრუა და მხოლოდ მას შემდეგ გაუჩნდა მისი დაბრუნების სურვილი, როცა ერთხელაც ცაბაძის ქუჩაზე მისულებს გაპარტახებული ნივთების ნაცვლად მდიდარი კოლექცია დაუხვდათ.

"დინამოს" შემდეგ უკან დაბრუნებული ბიბლიოთეკისა და მუზეუმის პატრონი მეაბრეშუმეობის სამმართველო ხდება. დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ამ უკანასკნელს ჯერ მეაბრეშუმეობის საწარმოო გაერთიანება ცვლის, შემდეგ - "საქაბრეშუმი". 1996 წელს მუზეუმიცა და ბიბლიოთეკაც თავისი შენობით ისტორიული მნიშვნელობის კულტურის ძეგლად გამოცხადდა, შენობას "აბრეშუმის სახლი" ეწოდა, მისი პრივატიზაცია აიკრძალა და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბალანსზე გადავიდა. იქიდან მოყოლებული დღემდე მხოლოდ ის შეიცვალა, რომ "აბრეშუმის სახლი" საკოორდინაციო ცენტრად გადაკეთდა, სამინისტრომ კი მისი ლიკვიდაცია განიზრახა (2005 წლის 25 აგვისტო. N145 დადგენილება). სანამ ამ დადგენილებას გამოიტანდნენ, რამდენიმე თვით ადრე აქაურ თანამშრომლებს ხელფასები 60-დან 500 ლარამდე გაუზარდეს, შემდეგ კი საერთოდ ულუკმაპაუროდ დატოვეს. ასეთ რამეს ვიქტორ ჰიუგოს რომანებში თუ წააწყდება კაცი. რომანტიზმი იქით იყოს, მაგრამ სამინისტროში, როგორც ჩანს, დღემდე ვერ გაურკვევიათ, რა საზომით უნდა მიუდგნენ მუზეუმსა და ბიბლიოთეკას. არაერთი მცდელობის მიუხედავად, სამინისტროს კომენტარს ვერ ველირსეთ. მინდა მჯეროდეს, რომ საყოველთაო ოპტიმიზაციის ფონზე, საკოორდინაციო ცენტრის ლიკვიდაცია უბრალო გაუგებრობაა. მაგრამ ეს "გაუგებრობა", ცოტა არ იყოს, დიდხანს გრძელდება. უპატრონო შენობა-ნაგებობებს რაც ემართებათ ჩვენს ქვეყანაში, ეს უკვე გავიარეთ. ისიც ვისწავლეთ, რა სხვაობაა ისტორიულ ძეგლსა და მუზეუმს შორის. მაგრამ არ ვიცით, რატომ არ ეღირსა მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთ-ერთ უძველეს მუზეუმს შესაბამისი სტატუსი. წინანდლის შემდეგ კი საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დგას, რადგან ამ შენობაზეც ბევრს უჭირავს თვალი - კაზინოდაც გამოდგება, სასტუმროდაც, საკაზინო ცენტრადაც... რომ არა ეს ლამაზი, წითელი აგურით მოპირკეთებული ნაგებობა, "აბრეშუმის სახლი" ალბათ სპეციალისტების გარდა არავის გაახსენდებოდა. სხვათა შორის, ფართო საზოგადოება ნაკლებად რომ იცნობს აქაურობას, ესეც სახელმწიფოს ნაკლად მიმაჩნია. ვერ გეტყვით, რა პოზიციას დაიკავებს დღევანდელი კულტურის სამინისტრო, მაგრამ იმედი მაქვს, იქ მაინც ხვდებიან, რომ მსოფლიო მნიშვნელობის კოლექციამ ხვალ-ზეგ, შესაძლოა, მეტი შემოსავალი მოგვიტანოს, ვიდრე კარგად გაყიდულმა შენობამ.

რუსეთის იმპერია, რა თქმა უნდა, ჩვენზე არ ზრუნავდა, როცა საქართველოში აბრეშუმის წარმოების გასაუმჯობესებლად ირჯებოდა. აბრეშუმი ძვირი ღირდა, სიმდიდრეს კი მოფრთხილება სჭირდებოდა. აბრეშუმი ახლაც ძვირი ღირს, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც თუთის კულტურა არ არსებობს. იყო დრო, როცა საქართველოში მეაბრეშუმეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგად ითვლებოდა. საქმე ისაა, რომ 1966 წლიდან თუთის ხის დავადებამ ეს დარგი საგრძნობლად დააზარალა.

მუზეუმის დირექტორი ქალბატონი ირინე ჭოტორლაშვილი იხსენებს: "სწორედ იმ დროს იაპონიიდან ჩამოსული სპეციალისტები, მათივე დაჟინებული თხოვნით, დასავლეთ საქართველოში წაიყვანეს. სტუმრების წასვლიდან მალევე თუთის ფოთლის დაავადება მთელ საქართველოში გავრცელდა. იყო თუ არა ეს დივერსია, ამაზე ლაპარაკი დღეს იქნებ უხერხულიც კია, თუმცა ფაქტია, რომ იაპონიიდან დაავადება საქართველოში შუა აზიის ქვეყნების გვერდის ავლით გავრცელდა. იქიდან მოყოლებული აბრეშუმის წარმოება ჩვენს ქვეყანაში მკვეთრად დაეცა."

ამიტომაც ენიჭება დღეს აბრეშუმის მუზეუმსაც და ბიბლიოთეკასაც დიდი მნიშვნელობა. გარდა იმისა, რომ ეს ჩვენი ისტორიაა, ამ დარგის აღორძინების შემთხვევაში, რასაც სპეციალისტების გაანგარიშებით რამდენიმე ათეული წელი დასჭირდება (ისიც იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მეაბრეშუმეობას პრიორიტეტად დაისახავს), აქ დაცული ექსპონატები და გამოცემები პრაქტიკულ მნიშვნელობასაც შეიძენს.

ოცდამეერთე საუკუნეში აბრეშუმს ნავთობი და გაზი ჩაენაცვლა, მაგრამ ერთიც და მეორეც ევროპაში იმავე გზით მიდის, რა გზითაც საუკუნეების წინ აბრეშუმით დატვირთული ქარავნები მიემართებოდნენ. ამიტომაც არ გაგვკვირვება, როცა ქართველმა თუ უცხოელმა ბიზნესმენებმა "სილქ როუდ გრუფი" დაირქვეს და ამ ნიშნის ქვეშ თბილისის ცენტრის რეკონსტრუქცია განიზრახეს. თუ არ ვცდები, ინგლისური Silk Road ქართულად აბრეშუმის გზას ნიშნავს - იმ გზას, რომელიც დღევანდელი გადმოსახედიდან პირველ ტრანსკონტინენტური მარშრუტი იყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ამ "სილქ როუდ გრუფმა" ახლახან მოწყალება გაიღო და მისთვის წამგებიანი პირობების მიუხედავად, ჭაჭაბაძეების რეზიდენციის მოვლა-პატრონობა განიზრახა. წინანდლის პატრონობა კეთილშობილური საქმეა, მაგრამ, ცოტა არ იყოს, უცნაურად მეჩვენება, როცა გვერდით "აბრეშუმის სახლში" დაუნჯებული განძი გეგულება, შენ კი მაინცდამაინც კახეთისკენ გიჭირავს თვალი. არ გამოვრიცხავ, რომ მათ არაფერი სმენიათ მუზეუმისა თუ ბიბლიოთეკის შესახებ, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხომ იციან. ჰოდა, თუ იციან, კეთილი ინებონ და შეადგინონ "მიღება-ჩაბარების აქტი" სოფლის მეურნეობისა და კულტურის სამინისტროებს შორის, თუ, რასაკვირველია, მათი ცოდნა მხოლოდ მუზეუმებისთვის განკუთვნილი შენობებისა და მიწის ნაკვეთების გაყიდვით არ შემოიფარგლება.

მოკლედ

ბათუმელი მოვაჭრეები მთავრობის შეთავაზებაზე უარს აცხადებენ

ბათუმის ცენტრალური უნივერმაღის მოვაჭრეებმა გუშინ უნივერმაღის შენობიდან აჭარის მინისტრთა საბჭოსთან გადაინაცვლეს და საპროტესტო აქცია გამართეს.

ისინი ბიზნესმენ ანზორ ქოქოლაშვილის მიერ უნივერმაღის შენობის ყიდვას აპროტესტებენ და იქ ვაჭრობის გაგრძელებას, უარეს შემთხვევაში კი, იანვრამდე დარჩენას ითხოვენ. აქციის მონაწილეები გუშინ აჭარის მთავრობის მეთაურთან, ლევან ვარშალომიძესთან შეხვედრას ითხოვდნენ. მათ ავტონომიის ფინანსთა მინისტრი კახა შავაძე შეხვდა და სავაჭროდ სხვა ტერიტორია შესთავაზა, რაზეც მოვაჭრეები არ დათანხმდნენ. **მედიანიუსი**

საპყრობილეებში ნარკოტიკების შეგზავნა გრძელდება

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 საპყრობილის საამანათო განყოფილებაში დააკვეს 28 წლის ვასილ შ.-ძე, რომელსაც საპატიმროში ნარკოტიკული ნივთიერება სუბოტექსის შეგზავნის მცდელობაში ადანაშაულებენ. ეჭვმიტანილის მიერ პატიმარი ბიძაშვილისათვის საპყრობილეში მიტანილი ამანათის დათვალიერებისას საპყრობილის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა საკვები პროდუქტების ჩანთის ნაკერებში დამალული ფოლგის ქაღალდი აღმოაჩინეს, სადაც შეფუთული იყო თეთრი ფერის ფხვნილი. წინასწარი მონაცემებით, ამოღებული ნივთიერება "სუბოტექსია". ნივთმტკიცება ქიმიურ ექსპერტიზაზე გადაიგზავნა. საქმეს იძიებს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი. **ჯი-ეიჩ-ენი**

ორი სიტყვით

თბილისი. გუშინ საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში არ გაატარა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სარეფერენდუმო საკითხი თემაზე: "თანახმა ხართ თუ არა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებად ჩაითვალოს ქვეყანაში საყოველთაო დასაქმება, პენსიების გაცემა სტაჟისა და შრომითი ანაზღაურების მიხედვით, ანაბრების დაბრუნება, რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და კონფლიქტების მოგვარება?" ეს საკითხი ოთხკაციანმა საინიციატივო ჯგუფმა (გიორგი ყორღანაშვილმა, გულიკო დვალმა, კახა მიქაბაძემ და ალექსანდრე ფარჯანაძემ) ცესკო-ში სარეგისტრაციოდ 28 ოქტომბერს შეიტანა. როგორც ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილემ, ალექსანდრე ღონღაძემ განაცხადა, ცესკო-მ საკითხი რეგისტრაციაში იმის გამო არ გაატარა, რომ ის მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული. ერთ კითხვაში ერთბაშად ექვსი სხვადასხვა საკითხია მოქცეული. "ჩამოთვლილ კითხვებზე მოქალაქეებს, ცხადია, დადებითი პასუხი ექნებათ, თუმცა რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში მას სამართლებრივი შედეგები არ მოჰყვება. ერთი რეფერენდუმის ჩატარებას დაახლოებით 18 მლნ. ლარი სჭირდება და ეს თანხა ფუჭად რატომ უნდა დაიხარჯოს?!" - ამბობს ალექსანდრე ღონღაძე. ცესკო-ს დღევანდელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის საინიციატივო ჯგუფს ხუთდღიანი ვადა მიეცა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცველებმა დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება "მარიხუანას" უკანონო შენახვის ფაქტზე "რადიკალ დემოკრატთა ნაციონალური პარტიის" თავმჯდომარის მოადგილე კაკო ტეტუნაშვილი დააკავეს. როგორც შს სამინისტროში განაცხადეს, პარტიის იურიდიულ-ოპერატიული შტაბის უფროსი კაკო ტეტუნაშვილი კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა მეტროსადგურ "დიდუბის" მიმდებარე ტერიტორიაზე დააკვეს. ტეტუნაშვილს პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას 9 კოლოფად დაფასოებული ნარკოტიკული ნივთიერება "მარიხუანა" აღმოაჩნდა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ავჭალის N10 საერთო და მკაცრი რეჟიმისა დაწესებულებაში სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებიდან 60 წელს გადაცილებული ხანდაზმული და ინვალიდი 68 პატიმარი გადაიყვანეს, - აცნობებს იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახური. სასჯელის მოხდის ადგილის შეცვლა მათთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. ავჭალის N10 ახალგარემონტებული დაწესეულება რამდენიმე თვის წინათ გაიხსნა. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლეონ წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხაძიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

პარლამენტში ცხელი პოლიტიკური ზამთარი დგება

პირველი გვერდიდან

დსთ-ში ყოფნა-არყოფნის საკითხი გუშინაც პარლამენტართა ყურადღების ცენტრში იყო. მასზე სამსჯელოდ, ბიუროს სხდომის დაწყების წინ, ნინო ბურჯანაძესთან შეიკრიბნენ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე, ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გოკა გაბაშვილი...

სახელისუფლებო გუნდის მიდგომა ბიუროს სხდომაზე გახმოვანდა. **"დსთ-დან საქართველოს გამოსვლის საკითხი მართლაც დგას, მაგრამ ვიდრე შესაბამის პროცედურებს დავიწყებთ, აუცილებელია კონსულტაციები მთავრობასთან და საზოგადოებასთან,"** - მიიჩნევს მაია ნადირაძე.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მსგავსად, გარკვეულ პაუზას ითხოვს კოტე გაბაშვილიც. **"ვითარების დრამატიზება და ხელოვნურად დაჩქარება საჭირო არ არის. ოპტიმალური დრო და ვითარება უნდა იქნას შერჩეული,"** - აცხადებს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე. იგი ოპონენტებს იმასაც შეახსენებს, რომ ახლოვდება რუსი სამშვიდობოების შესახებ პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების ამოქმედების ვადა და, ამდენად, დსთ-დან გასვლის საკითხის დაყენებამდე სასურველია წარმოჩინდეს, რა ნაბიჯებს დგამს ოფიციალური მოსკოვი.

დსთ-სთან დაკავშირებით საბოლოო პოზიციას პარლამენტი, სავარაუდოდ, პარასკევს, 2 დეკემბერს ჩამოაყალიბებს. სწორედ ამ დღისთვის არის დაგეგმილი საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების ერთობლივი სხდომა, სადაც უმრავლესობის წევრები გადაწყვეტენ, დაიწყოს თუ არა პარლამენტმა დსთ-დან საქართველოს გამოსვლის პროცედურები.

დსთ-ს დაუყოვნებლივ დატოვებას, სხვათა შორის, არც ოპოზიცია ითხოვს. ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარე დავით ზურაბიშვილი მზად არის, უმრავლესობას ტაიმ-აუტის აღების საშუალება მისცეს. თუმცა, იგი ხელისუფლების გულწრფელობაში დარწმუნებული არ არის და ფიქრობს, რომ უმრავლესობას ეს თემა მხოლოდ სატელევიზიო პიარისთვის სჭირდება.

უმრავლესობა და ოპოზიცია ვერც "ეროვნული თანხმობის კონცეფციაზე" მოვიდნენ ერთ აზრზე. ოპოზიციას მიაჩნია, რომ მასში, შეფარული ფორმით, შეტანილია პრესახელისუფლებო შეფასებები, რაც ამ ტიპის დოკუმენტისთვის შეუფერებელია.

"ეროვნული თანხმობის კონცეფციას" მხოლოდ ღირებულებების დეკლარირების სახე უნდა ჰქონდეს," - აცხადებს დავით ზურაბიშვილი.

როდესაც უმრავლესობა და ოპოზიცია დავობს, ეს სავსებით "ნორმალურია", მაგრამ ერთგვარი სიურპრიზია ის, რომ სახელისუფლებო ფრაქცია მთავრობასაც საყვედურებით ავსებს. უმრავლესობის წევრთა უკმაყოფილებას, კერძოდ, ჯანდაცვის სამინისტროში შემუშავებული ის კანონპროექტი იწვევს, რომელიც საპენსიო უზრუნველყოფას ეხება. დეპუტატები არ აკონკრეტებენ, რა არ მოსწონთ ამ დოკუმენტში, თუმცა, პარლამენტართა გულისწყრომის მიხვედრა არც ისე ძნელია - კანონპროექტის მიხედვით, ხალხის რჩეულებს პენსიის ოდენობა საგრძნობლად უმცირდებათ.

"ამ სახით კანონპროექტი პარლამენტში ვერ გავა," - ხმამაღლა აცხადებენ ბიუროს წევრები, რომელთა რისხვაც გუშინ, რატომღაც, მხოლოდ მთავრობის საპარლამენტო მდივანს გიორგი ხუროშვილს დაატყდა.

"თუ მთავრობას უნდა, მაშინ ავდგებით და ხმამაღლა ვიტყვით, თავდაპირველ ვარიანტში რა ეწერა და მერე რით შეიცვალა," - აღმასრულებელი ხელისუფლების უფრო მაღალ ეშელონებსაც უთვლიან ფარულ მუქარას სახელისუფლებო ფრაქციის წარმომადგენლები.

დემოკრატია 500 ათას ლარად

პირველი გვერდიდან

"რესპუბლიკელები" პოლიტიკური პარტიების დაფინანსების აღნიშნულ ფორმას არადემოკრატიულად მიიჩნევენ და არა მხოლოდ საპარლამენტო, არამედ ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვებული პარტიების დაფინანსებასაც ითხოვენ. მათ მიერ შეთავაზებული ვარიანტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს ის პარტიები, ვინც პარლამენტის, თბილისის საკრებულოსა და აჭარის უზენაესი საბჭოს ბოლო არჩევნებში ოთხპროცენტიანი ბარიერი გადალახა. როგორც ოპოზიციური პარტიები ვარაუდობენ, თუკი პარტიების დაფინანსების ათვლის წერტილად მხოლოდ უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნები ჩაითვლება, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის 75 პროცენტი "ნაციონალურ მოძრაობას" შეხვდება. **"სახელმწფო ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა პარტიების ლეგალური გზით დაფინანსების საუკეთესო საშუალებაა. ოღონდ, ამ საშუალებით მხოლოდ ერთმა პარტიამ არ უნდა ისარგებლოს. დაფინანსების ჩვენს მიერ შეთავაზებული ვარიანტი თუ განხორციელდა, "ნაციონალებს" მაინც ყველაზე მეტი ერგებათ - საბიუჯეტო დაფინანსების ორი მესამედი. სამაგიეროდ, დანარჩენი პარტიები იმდენ თანხას მაინც მიიღებენ, რომ ოფისები იქირაონ და ტექნიკა იყიდონ,"** - აცხადებს "რესპუბლიკელი" დავით ბერძენიშვილი.

უმრავლესობისეული ვარიანტის მიხედვით, ბიუჯეტს პარტიების დაფინანსება, დაახლოებით, 2 მილიონ 200 ათასი ლარი დაუჯდება, "რესპუბლიკელების" ვარიანტით კი - 500 ათასი ლარით მეტი. **"სამაგიეროდ, დაფინანსების ეს ფორმა უფრო დემოკრატიულია, დემოკრატიისთვის კი ფულის გადახდა ღირს,"** - მიიჩნევს ბერძენიშვილი.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი აცხადებს, რომ კომიტეტი "რესპუბლიკელების" მიერ შეთავაზებულ ვარიანტზეც იმსჯელებს. თუმცა, დავით ბერძენიშვილის განმარტებით, საბოლოო სიტყვა მთავრობაზეა დამოკიდებული და საპარლამენტო უმრავლესობაც აღნიშნულ კანონპროექტს პლენარულ სხდომაზე მთავრობის გადაწყვეტილების მიხედვით განიხილავს.

არასამთავრობოები საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისთვის ერთიანდებიან

პირველი გვერდიდან

უჯეტო პროცესებში საზოგადოების ყველა ჯგუფი გარკვეულწილად უნდა იყოს ჩართული," - განაცხადა ლექსო ალექსიშვილმა.

კოალიციის შექმნას კახა ბენდუქიძეც მიესალმა, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ მთავრობას ამ კოალიციის მიერ ჩატარებული მონიტორინგის არ შეეშინდება.

საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიცია "საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისათვის" შემდეგი მიმართულებით იმუშავებს: საქართველოში უკეთესი საბიუჯეტო პროცესებისა და პრაქტიკის დამკვიდრების, გამჭვირვალობისა და საზოგადოების საბიუჯეტო პროცესებში ჩართულობის ხელშეწყობა, სპეციალური საჯარო ფინანსური სახსრების მონიტორინგი, "ათასწლეულის გამოწვევის გრანტის" საქართველოში ადმინისტრირების მონიტორინგი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიერ საქართველოს მთავრობისათვის შექმნილი საგრანტო პროგრამის მონიტორინგი, საქართველოში პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების მონიტორინგი, წიაღისეულის მოპოვებიდან და ენერგორესურსების ტრანზიტიდან შემოსავლების გამჭვირვალობა და საზოგადოებრივი მეთვალყურეობა.

აღსანიშნავია, რომ "არასამთავრობოთა" ალიანსი მომავალში, სავარაუდოდ, გაფართოვდება. მისი წევრობის სურვილი უკვე გამოთქვა "საქართველოს ბიზნესმენთა ასოციაციამ".

24 საათი

მოკლე სხდომა ხანგრძლივი შესვენებებით

ჰუსეინის პროცესი განახლდა და კვლავ გადაიდო

ორმოცდღიანი შესვენების შემდეგ, გუშინ ბაღდადში ერაყის ყოფილი პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის და მისი უახლოესი თანამებრძოლების სასამართლო პროცესის მეორე სხდომა გაიმართა. ერთი მოწმის დაკითხვის შემდეგ მოსამართლემ სხდომა კვლავ დახურულად გამოაცხადა და 5 დეკემბრამდე გადადო.
ჰუსეინსა და ერაყის კიდევ შვიდ ყოფილ მაღალი თანამდებობის პირს ადამიანთა მკვლელობასა და წამებაში ედებათ ბრალი. თუ ერაყის ყოფილ დიქტატორს ყველა ბრალდება დაუმტკიცდა, შესაძლოა, სიკვდილით დასაჯონ.

შიიტების გაჟლეტაში ბრალდებული სადამ ჰუსეინი სასამართლო დარბაზში ყურანით გამოცხადდა.

ორშაბათს ერაყის დედაქალაქის ე.წ. "მწვანე ზონაში" სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესი განახლდა. გუშინდელ სხდომაზე სასამართლო ერაყის ყოფილი პრეზიდენტის "დანაშაულებრივი საქმიანობის" მხოლოდ ერთ ეპიზოდს განიხილავდა. საუბარია 1982 წელს, ჰუსეინზე წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ, ერაყის პრეზიდენტის ბრძანებით დუჯეილში დაახლოებით 150-მდე შიიტის მკვლელობაზე. შეგახსენებთ, დუჯეილის ჟლეტა ბრალდების ერთ-ერთი მთავარი პუნქტია.

სასამართლოს სხდომაზე ბრალდებამ დაახლოებით 40 მოწმე გამოიძახა, თუმცა, როგორც წინასწარ ვარაუდობდნენ, სასამართლოს დარბაზში მოწმეთა ბევრად უფრო ნაკლები რაოდენობა გამოცხადდა.

აღსანიშნავია, რომ გუშინდელ სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე დაიღუპა ერთ-ერთი მთავარი მოწმე. ასე რომ, გუშინ სასამართლო დარბაზში მხოლოდ ამ მოწმის ჩვენების ვიდეოჩანაწერი უჩვენეს.

განსასჯელის სკამზე მსხდომი რვავე მსჯავრდებული უარს ამბობს დანაშაულის აღიარებაზე. უფრო მეტიც, სადამ ჰუსეინი პირველ სხდომაზე არ ცნობდა მოსამართლეს, ხოლო დარბაზში მყოფ მცველებს "ოკუპანტებსა და დამპყრობლებს" უწოდებდა.

რაც შეეხება თავად პროცესს, იგი უსაფრთხოების უმკაცრესი ზომების დაცვით ტარდება. სხვათა შორის, ზოგიერთმა ექს-დიქტატორის გასამართლების "საჩვენებელი" პროცესის უფრო უსაფრთხო ზონაში გადატანის წინადადებაც წამოაყენა. ბრალმდებელთა ნაწილი ფიქრობს, რომ ჰუსეინის გასამართლება ქურთების მიერ კონტროლირებულ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში უფრო უსაფრთხო იქნება, ვიდრე ერაყის დედაქალაქის "ყველაზე დაცულ" მწვანე ზონაში.

შესაძლოა, სწორედ მოსალოდნელი საფრთხე იყო იმის მიზეზი, რომ გუშინდელი სხდომა მხოლოდ ერთი საათი გაგრძელდა. მას შემდეგ, რაც ბრალდების პირველი მოწმის ჩვენება მოისმინა, სასამართლოს თავმჯდომარემ რიზგარ მოჰამედ ამინმა გამოაცხადა, რომ შემდეგი სხდომა 5 დეკემბერს გაიმართება.

ოფიციალური ვერსიით, გადაწყვეტილება მოსამართლემ ჰუსეინის ადვოკატების თხოვნით მიიღო, თუმცა, გადაწყვეტილების ზუსტი ფორმულირება ჯერჯერობით უცნობია.

უსაფრთხოების გარდა, აღნიშნული ფაქტი, შესაძლოა, ბრალდებულთა ადვოკატების შემადგენლობაში მომხდარ სერიოზულ ცვლილებებსაც უკავშირდებოდეს.

გუშინ სადამ ჰუსეინის ძირითად ადვოკატს ჰალიდ ად-დულეიმს სამი იურიდიული "მძიმეწონასანი" - აშშ-ს და კატარის იუსტიციის ყოფილი მინისტრები რამზი კლარკი და ნაჯიბ ან-ნუეიმი და იორდანიელი ადვოკატი ისამ გაზავი შეუერთდა.

შეგახსენებთ, 19 ოქტომბერს გამართული პირველი სხდომის შემდეგ ბოევიკებმა ჰუსეინის ერთ-ერთი თანამებრძოლის, ერაყის რევოლუციური სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის ავად ჰამად ალ-ბანდარის ადვოკატი სადუნ ალ-ჯანაბი მოკლეს. რამდენიმე კვირის შემდეგ მისი ბედი გაიზიარა ადვოკატმა ადელ აზ-ზუბეიდიმ, რომელიც სასამართლოში ერაყის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ტაჰა იასინ რამადანის ინტერესებს იცავდა.

უსაფრთხოება რომ ერაყისთვის ჯერჯერობით მიუღწეველ მიზნად რჩება, გუშინაც დადასტურდა. პოლიციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ლიკვიდირებულია "ალ-ქაიდას" ერთ-ერთი უჯრედი, რომელიც სასამართლოს თავმჯდომარეზე თავდასხმას გეგმავდა.

ამავდროულად იუწყებიან, რომ ბოევიკებმა ჰუმანიტარული ორგანიზაციების ოთხი თანამშრომელი გაიტაცეს. მათ შორის ორი კანადელი, ერთი ბრიტანელი და ერთი ამერიკელია.

ჩეჩნეთის არჩევნები - დახურული თემა

პირველი გვერდიდან

ჩეჩნეთის რესპუბლიკაში 27 ნოემბერს ჩატარებული არჩევნები რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა გუშინ ლეგიტიმურად გამოაცხადა. ნიშანდობლივია, რომ პუტინმა თავისი მოსაზრება საარჩევნო ბიულეტინებისა და ხმათა რაოდენობის საბოლოო დათვლამდე, კრემლში ჩეჩნეთის მთავრობის წევრებთან შეხვედრისას გამოთქვა. რუსეთის პრეზიდენტი რესპუბლიკაში ჩატარებული არჩევნების შედეგებით კმაყოფილია. **"ჩეჩნეთში მნიშვნელოვანი შიდაპოლიტიკური მოვლენა მოხდა. რესპუბლიკაში პარლამენტის არჩევით კონსტიტუციური წყობის აღდგენის იურიდიული პროცესი დასრულებულია,"** - აღნიშნა პუტინმა კრემლში გამართულ შეხვედრაზე.

ორშაბათს დღის 12 საათზე გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემებით, არჩევნებში პარტია "ედინაია რასია" ლიდერობს, ხოლო მეორე და მესამე ადგილები რუსეთის ფედერაციის კომუნისტურ პარტიასა და მემარჯვენე ძალთა გაერთიანებას უკავია. დანარჩენმა პარტიებმა რესპუბლიკაში მოქმედი კანონის მიხედვით განსაზღვრული 5-პროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახეს. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული მონაცემები მხოლოდ 237 საარჩევნო უბნის ხმათა რაოდენობის დათვლის შედეგია (ჩეჩნეთის რესპუბლიკაში სულ 430 საარჩევნო ოლქი იყო გახსნილი).

ჩეჩნეთში მყოფ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელს ანდრეას გროსს, რესპუბლიკაში არსებული ვითარების ფონზე, კვირას ჩატარებული არჩევნების სამართლიანობაში ეჭვი ეპარება. გროსის თქმით, ჩეჩნეთში არჩევნების პერიოდში უბრალო ხალხის შეხედულებების გაზიარების მიზნით, რესპუბლიკაში ჩასული "პასეს" დელეგაციის წევრები ჩეჩნეთის მოქალაქეებს შეხვდნენ. **"ჩემი კოლეგები საარჩევნო პუნქტისკენ მიმავალ სამ სხვადასხვა ასაკის ქალბატონს გაესაუბრნენ. სამივე მათგანი დათრგუნული და შეშინებული იყო. მათი ოჯახების ზოგიერთი წევრი ახლახან მოკლეს, ზოგიც კი გატაცებულია. ქალები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მომხდარში რესპუბლიკის სამართალდამცავ სტრუქტურებს მიუძღვით ბრალი. ჩვენ გვინდა, კანონიერ ხელისუფლებას გავუწიოთ დახმარება, რადგანაც მხოლოდ მას ძალუძს ხალხის დაცვა,"** - აღნიშნა ანდრეას გროსმა.

მიუხედავად კრიტიკისა, ჩეჩნეთის პრეზიდენტ ალუ ალხანოვის თქმით, "პასეს" დელეგაციის წარმომადგენლებს არჩევნებთან დაკავშირებით სერიოზული შენიშვნები არ გამოუთქვამთ. **"რესპუბლიკაში ჩატარებული არჩევნები დელეგაციის წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს და ახალი პარლამენტის არჩევაც მოგვილოცეს,"** - აღნიშნა ალხანოვმა.

Kuzanov Clinic


კუზანოვის კლინიკა

1. ლაზერული ეპილაცია
2. ლაზეროთერაპია (ტყლიპების, ჰემანგიომების, ხალების, სვირინგების მოცილება)
3. მეზოთერაპია
4. დერმოაბრაზია
5. ქიმიური ფილინგები
6. სხეულის ლაზერული კორექცია
7. ენერგეტიკული ქოქონი (ნერვული დაძაბულობა, დეპრესია, რევმატიზმი, ოსტეოქონდროზი, კუნთების დაძაბულობა)
8. პედიკური
9. ნარბების კორექცია
10. კოსმეტოლოგია
11. მანიკური
12. სტომატოლოგია
13. თვალის სრული დიაგნოსტიკა და ქირურგია

თქვენი არჩევანი - ჩვენი პროფესიონალიზმია
გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com

მოლდოვას პრეზიდენტის არაოფიციალური ვიზიტი მოსკოვში

მოლდოვას პრეზიდენტი ვლადიმირ ვორონინი, რომელიც გასულ უქმეებზე მოსკოვში კერძო ვიზიტით იმყოფებოდა, რუსეთის ხელმძღვანელობიდან არავის შეხვედრია, - წერდა გუშინ რუსული გაზეთი "კომერსანტი".

რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მომუშავე ანონიმური წყარო ჰყვება, რომ მოსკოვში ჯერ კიდევ პარასკევს ჩასული ვორონინი, ორი დღის განმავლობაში ცდილობდა ვლადიმირ პუტინთან შეხვედრას, თუმცა მას თავაზიანი უარი უთხრეს.

"მან მოსკოვში ჩამოსავლელად არაოფიციალური მიზეზი დაასახელა - ქორწილი, თუ სხვა რაღაც, თავად კი, პუტინთან შეხვედრას ლამობდა. როცა ის მასთან არ შეუშვეს, ერთი სართულით დაბლა - უშიშროების საბჭოს, მთავრობის და საგარეო საქმეთა სამინისტროს კარებებზე დაიწყო კაკუნი, მაგრამ მას ყველგან უარი უთხრეს," - თქვა წყარომ.

თავად მოლდოვას პრეზიდენტის გარემოცვა ამ ინფორმაციას უარყოფს და აცხადებს, რომ ვორონინი მოსკოვში "ოჯახის თანხლებით კერძო ვიზიტით იმყოფებოდა და მისი მოსკოვში ყოფნის პროგრამა მხოლოდ არაოფიციალურ ხასიათს ატარებდა".

როგორც გამოცემა წერს, კიშინიოვმა სასწრაფოდ უნდა შეამციროს დაძაბულობა ორმხრივ ურთიერთობებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ზამთარში მოლდოვას სერიოზული ენერგეტიკული კრიზისი ემუქრება.

"გაზპრომმა" უკვე განაცხადა, რომ განზრახული აქვს, მოლდოვას გაზი მსოფლიო ფასებით მიჰყიდოს. რუსეთმა მოლდოვას მთავარი საექსპორტო საქონლის - ღვინის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი შეზღუდა, რამაც შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს რესპუბლიკის ეკონომიკას.

შეგახსენებთ, მოლდოვასა და რუსეთის ურთიერთობა 2003 წლიდან გაუარესდა, მას შემდეგ, რაც კიშინიოვმა დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარების რუსული გეგმის ხელმოწერაზე უარი განაცხადა.

ლენტა.რუ

FM ცნობა 98.0

უცნობი თავისუფლება

სტუდიის სტუმარია თინა ხიდაშელი

რადიომსმენელი: თქვენ დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდით სამოქალაქო კულტურის დონის ამაღლებისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არასაკმარისი აღმოჩნდა. ჩვენ ავირჩიეთ ისეთი ხელისუფლება, როგორიც დღეს გვყავს. მოვლენებიდან გამომდინარე, "რესპუბლიკელებსა" და "კონსერვატორებს" ხომ არ სურთ გაფადარონ ოპოზიციური ფრონტი, ანუ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ჩაენაცვლონ "ახალ მემარჯვენეებს". 2004 წლის ივლისამდე "რესპუბლიკელების" ხმა არავის გაუგია, ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ხელისუფლებამ თავზე დაგვამხო კანონმდებლობა. როდემდე უნდა გააგრძელოთ ასე თამაში, სოროსის ფულზე აღარაფერს ვამბობ...

თინა ხიდაშელი: ვერ დაგეთანხმებით. მაშინაც აქტიურად ვიყავით ჩართული ამ პროცესებში. პირადად მე პირველი ვიყავი, ვის გამოც დაიხურა ეკა ხოფერიას გადაცემა. საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით არა მარტო მე და დათო უსუფაშვილი გამოვდიოდით, არამედ სხვებიც. როგორც ჩანს, საზოგადოებას არ სჯერა, რომ ჩვენ მართლაც ოპოზიციაში ვართ ხელისუფლებასთან. თუკი არჩევანი ჩვენზე გაკეთდა, ჩვენ ვიქნებით ის ოპოზიციური ფრთა, რომელიც მოვა ადგილობრივ ხელისუფლებაში. არჩევანი თავად მოსახლეობის გასაკეთებელია. ოპოზიციური ძალის გაერთიანება იმ სახით, როგორც რევოლუციის წინა პერიოდში მოხდა, "ყველასი ერთის წინააღმდეგ", აღარ იქნება. მიგვაჩნია, რომ არ შეიძლება ხელისუფლებაში მოდიოდნენ ძალები, რომლებიც ვიღაცის წინააღმდეგ არიან გაერთიანებული. თითოეული ჩვენგანისთვის უკეთესია, პარტიებმა ჩვენი სახე არ დავკარგოთ. ერთხელ მაინც ჩატარდეს საქართველოში არჩევნები, სადაც პოლიტიკური პარტიები იქნებიან სუბიექტები და არა გაუგებარი წარმოშობის კოალიციები, სადაც არანაირი იდეოლოგიური თანხვედრა არ იქნება.

სოროსთან დაკავშირებით ადამიანებს არასდროს არ ვეკამათები. მე მაქვს ყველანაირი დამადასტურებელი დოკუმენტი იმისა, რომ რაც მსმენელმა ბრძანა, არასწორია. არავითარი თანამშრომლობა ჯორჯ სოროსთან ან მის ფონდთან პარტიას არა აქვს. ჩვენ გვყავს ბევრი მეგობრები უცხოეთში და ერთ-ერთი მათგანია ჯორჯ სოროსი. მე გირჩევდით, რომ წაიკითხოთ ამ ადამიანის წიგნები და იქნებ შეიცვალოს კიდეც თქვენი შეხედულებები. მე შორს ვარ იმ აზრისგანაც, რომ "ნაციონალურ მოძრაობის" თავის დროზე აფინანსებდა სოროსი.

ალექსანდრე ელისაშვილი: ყველას აინტერესებდა, ვინ იყო ვალერი გელაშვილის ცემის დამკვეთი. გელაშვილისგან მოვისმინეთ, რომ ესენი იყვნენ უშიშროებისა თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, მაგრამ საბოლოო სიტყვა გამოძიებას უნდა ეთქვა. ამ ფაქტის შემდეგ თითქმის ნახევარი წელი გავიდა. რა ხდება, ხომ არ იცით?

თ. ხ.: იმას, რაც მოხდა ზაფხულში, აკლდა ერთადერთი რამ, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება ხოლმე. ეს იყო ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის კამერები, რომლებიც უშუალოდ არ იღებდნენ ამ ცემის ფაქტს. ეს არის, რასაც აკეთებს ხოლმე ხელისუფლება არასასურველ ადამიანებთან მიმართებაში. როგორც ვიცი, გამოძიებასთან დაკავშირებით რაიმე პროგრესი არ არის და არც გელაშვილს შეხმიანებიან. რაც დრო გადის, მით უფრო ნაკლებია შანსი, რომ ამ საქმეს ნათელი მოეფინოს.

დევნილების აქცია

აფხაზეთიდან დევნილებმა გუშინ დილით საპროტესტო აქცია მოსკოვის გამზირზე, "სახალხო ბანკის" შენობასთან გამართეს. როგორც დევნილები აცხადებენ, მათ 18-ლარიანი შემწეობა 20 ნოემბრისათვის უნდა მიეღოთ, მაგრამ, როგორც "სახალხო ბანკში" განუცხადეს, თანხა ჯერ-ჯერობით გადმორიცხული არ არის.

ერთ-ერთი დევნილის, ნონა ლემონჯავას თქმით, ახალი ხელისუფლების პირობებში ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მათ კუთვნილი შემწეობის მიღება რამდენიმე დღით დაუგვიანდათ. დევნილები ხელისუფლებას ერთდღიან ვადას აძლევენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საპროტესტო აქციებით იმუქრებიან. "სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორის, გიორგი გოგუაძის განმარტებით, საქართველოს ლტოვლილთა და განსახლების სამინისტრომ "სახალხო ბანკს" ისანი-სამგორის რაიონში მცხოვრებ დევნილთა სიები მხოლოდ 24 ნოემბერს გადასცა, მაგრამ შემწეობის თანხები "სახალხო ბანკს" სამინისტროსგან არ მიუღია. **ინტერპრესნიუსი**

institute for war and peace reporting
ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი

მესხებს ცივი დახვედრა ელით

სტალინის მიერ განდევნილ მუსლიმანებს სამშობლოში დაბრუნების კანონიერი უფლება მიეცემათ. მაგრამ, ალბათ, ყველაზე რთული ამ იდეის სიკეთეში ქართველების დარწმუნება იქნება.

ფატი მამიაშვილი,
თბილისი

ევროპის საბჭოსთან ექვსწლიანი ჭიდილის შემდეგ საქართველო 60 წლის განმავლობაში გადასახლებაში მყოფი მუსლიმანი მესხების სამშობლოში დასაბრუნებლად ნაბიჯებს დგამს.
თუმცა ქართველების დარწმუნება იმაში, რომ კარგი განწყობით დახვდნენ ხალხს, რომელიც სტალინმა სამშობლოდან მეორე მსოფლიო ომის ბოლოს გააძევა, რთული იქნება.
ბევრი ადგილობრივი მათი წარმოდგენით უცხო ჯგუფს, რომელიც ასიმილირებას ადვილად ვერ მოახერხებს, ეჭვის თვალით უყურებს. არსებობს უფრო პრაგმატული მოსაზრებაც – იმიგრანტების მიღება სახელმწიფოსთვის, რომელსაც ისედაც უამრავი ეკონომიკური და სოციალური პრობლემა აქვს, იოლი არ იქნება.
მესხების დაბრუნება საქართველოს მიერ 1999 წელს ევროპის საბჭოში გაწევრიანების დროს აღებული ვალდებულებაა. 2005 წლის მარტში ევროსაბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ქვეყნის მთავრობას ნაკისრი ვალდებულების შესრულებისკენ მოუწოდა.
ხელისუფლებას რომ ნაკისრი ვალდებულების შესრულება სურს, აშკარაა; მაგრამ ბევრი ქართველის აზრით, მთავრობა მესხების საკითხთან დაკავშირებით ევროსაბჭოს ზეწოლის ქვეშ მოექცა.
ევროსაბჭოს უმცირესობათა პროგრამის მიხედვით, მიმდინარე წლის ბოლოს საქართველო დაასრულებს მოსამზადებელ სამუშაოებს, რაც ათი ათასობით მესხის შთამომავალს მშობლიურ მიწაზე დაბრუნების საშუალებას მისცემს – ცხადია, თუ მათ ამის სურვილი ექნებათ.

მესხები – სტალინის მიერ „დასჯილი ხალხი"

დეპორტირებული მუსლიმანები მესხეთში, საქართველოს სამხრეთ ნაწილში – ახლანდელ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ცხოვრობდნენ. მათ „თურქ მესხებსაც" უწოდებენ, რადგან მესხების წარმომავლობასთან დაკავშირებით ერთიანი მოსაზრება არ არსებობს. ზოგს მიაჩნია, რომ ისინი ძირითადად თურქები არიან, ზოგი კი ირწმუნება, რომ უმეტესობას ქართული ძირი აქვს.
საბჭოთა კავშირში მცხოვრები ბევრი ეთნიკური ჯგუფის მსგავსად, სტალინი მათ წინააღმდეგაც უარყოფითად იყო განწყობილი. მესხების მიმართ მის მიერ მიღებული ზომები მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ შეცვლილიყო. ამან სტალინს თურქეთის წინააღმდეგ აგრესიული ზომების მიღებაზე ფიქრის საშუალება მისცა. ამიტომ რეგიონის თურქეთის შესაძლო მომხრეებისგან გაწმენდის აუცილებლობაც გაჩნდა.
მოსახლეობის უმეტესობის დეპორტაცია 1944 წლის 14 ნოემბრის ღამეს განხორციელდა. უშიშროების სამსახურმა მესხეთის თითქმის მთელი მუსლიმანი მოსახლეობა შეკრიბა და სატვირთო მატარებლებში შერეკა. გამთენიისას 92 ათასზე მეტი ადამიანი ცენტრალურ აზიაში გადასასახლებად გზას გაუყენეს.
„მამაჩემი, სოფლის მასწავლებელი ლატიფშა ბარათიშვილი დეპორტაციის ღამეს თანასოფლელებს ეხმარებოდა. იგი ფიქრობდა, რომ კომუნისტური პარტიის დავალებას ასრულებდა. მაგრამ მალე თავის ქრისტიან ცოლთან ერთად ისიც ერთ-ერთი მატარებლის ვაგონში ჩასვეს", – ამბობს ისტორიკოსი მარატ ბარათაშვილი, რომელიც „მესხი რეპატრიანტების კავშირის" სახელწოდებით ცნობილ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს.
ითვლება, რომ სტალინის მიერ დეპორტირებული ხალხებიდან მესხები უკანასკნელნი არიან, რომლებსაც სამშობლოში დაბრუნების უფლება ეძლევათ. ჩრდილოეთ კავკასიიდან გადასახლებულ ჩეჩნებს, ინგუშებს, ყარაჩაელებსა და ბალყარელებს, ასევე სამხრეთ რუსეთში მცხოვრებ ყალმუხებს სამშობლოში დაბრუნების საშუალება დიქტატორის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წელს მიეცათ. ყირიმელ თათრებსა და ვოლგისპირელ გერმანელებს ცენტრალური აზიის დატოვების უფლება მხოლოდ საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში მისცეს. თათრები უკრაინაში დაბრუნდნენ, გერმანელთა უმეტესობამ კი ისტორიულ სამშობლოს მიაშურა.

რეპატრიაციის გეგმის განხორციელება

1999 წელს ევროსაბჭოში გაწევრიანებისას აღებული ვალდებულების მიხედვით, საქართველომ მესხების 2011 წლამდე დაბრუნებას ხელი უნდა შეუწყოს.
კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მრჩეველმა თეიმურაზ ლომსაძემ, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ევროსაბჭოს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის კომიტეტთან, IWPR-ს განუცხადა, რომ რეპატრიაცია მომავალი წლიდან დაიწყება.
გასულ თვეში სამთავრობო კომისია, რომელსაც კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა ხელმძღვანელობს, რეპატრიაციის მსურველთა რაოდენობის განსასაზღვრად ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში იმყოფებოდა.
ათობით ათასი ახალი იმიგრანტისთვის (რამდენი მათგანი გადაწყვეტს დაბრუნებას, ზუსტად არავინ იცის) პირობების შექმნა უკიდურესად რთული იქნება ქვეყნისთვის, რომლსაც სუსტი ეკონომიკა აქვს და აფხაზეთიდან თუ სამხრეთ ოსეთიდან ათობით ათასი ლტოლვილი ჰყავს.
„ეს რთული პროცესია, მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემა ფინანსებია. ჩვენ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებდან და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური მხარდაჭერის იმედი გვაქვს", – აღნიშნავს ლომსაძე.
რეპატრიაცია შესაძლებელი გახდება კანონით, რომელიც ამჟამად მზადდება და ხაინდრავას განცხადებით, ძალაში 2006 წელს შევა. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიმდინარე წლის დასაწყისში გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ აღნიშნული კანონი 1999 წელს საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებიდან ორ წელიწადში უნდა მიეღო.
ხელისუფლებისთვის უპირველესი ამოცანა დაბრუნების მსურველთა რაოდენობის დადგენაა. ცენტრალურ აზიაში ხაინდრავას ვიზიტი მიზნად ამ ადამიანთა რაოდენობის დაზუსტებას ისახავდა.
უმცირესობათა ევროპული ცენტრის მიერ გამოქვეყნებული 2004 წლის ანგარიშის მიხედვით, დიასპორის უდიდესი ნაწილი ყაზახეთსა (100 ათასამდე) და აზერბაიჯანში (110 ათასამდე) ცხოვრობს. გარდა ამისა, 30 ათასამდე მესხი ცხოვრობს ყირგიზეთში და სავარაუდოდ 15 ათასი – უზბეკეთში, 5 ათასიდან 10 ათასამდე კი უკრაინაში.
ერთ დროს საკმაოდ მრავალრიცხოვანი დიასპორის წარმომადგენელთა უმრავლესობამ უზბეკეთი 1989 წელს განვითარებული მოვლენების შემდეგ დატოვა, როცა მათ წინააღმდეგ ძალადობის აქტები განხორციელდა. ისინი რუსეთში, აზერბაიჯანსა და სხვა ქვეყნებში გადასახლნენ.
მესხების კიდევ ერთი ჯგუფი – დაახლოებით 25 ათასი ადამიანი ამჟამად თურქეთში ცხოვრობს; ამ ქვეყნის დატოვების სურვილი კი მათ, ალბათ, არ ექნებათ.
სამთავრობო კომისიის წევრები ხაინდრავას ხელმძღვანელობით მესხებს ყაზახეთში, ყირგიზეთსა და უზბეკეთში შეხვდნენ. ისინი გაეცნენ დეპორტირებული პირების საქმეებსაც, რომლებიც ამ ქვეყნების სახელმწიფო არქივებში ინახება.
„მარტო ბიშკეკის არქივში 75 ათასამდე სხვადასხვა ეროვნების დეპორტირებულის პირადი საქმე ინახება, – აღნიშნა ლომსაძემ, – მომავალში ჩვენ ამ ინფორმაციის იმ მონაცემებთან შედარება მოგვიწევს, რასაც საქართველოს არქივებში მივაკვლიეთ. ჩვენ თავიდან უნდა ავიცილოთ მათი საქართველოში ჩამოსახლება, ვისაც მუსლიმან მესხებთან არანაირი კავშირი არ აქვს".
„შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ დეპორტირებული მესხების შთამომავლებმა საქართველოს შესახებ თითქმის არაფერი იციან, მაგრამ მათი უმრავლესობა სამშობლოში ცხოვრების უფლების მოპოვებას ცდილობს", – განაცხადა ხაინდრავამ ვიზიტის შემდეგ.
საქართველოში კი ხელისუფლება პრაქტიკული ზომების მიღებას გეგმავს, რაც რეპატრიაციის პროცესის განხორციელებას შესაძლებელს გახდის. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში გაიხსნება ორი ცენტრი, სადაც დაბრუნებულ მესხთა ოჯახები დაახლოებით სამი თვის განმავლობაში დარჩებიან. აქ ისინი ქვეყნის კულტურას, ისტორიასა თუ ენას შეისწავლიან. საგარეო საქმეთა სამინისტრო პროგრამის ამ ნაწილის დასაფინანსებლად თანხების გამოყოფასთან დაკავშირებით ევროკავშირთან მოლაპარაკებას უკვე ანარმოებს.
ამის შემდეგ ხელისუფლებამ დაბრუნებული ხალხის დასასახლებლად ტერიტორია უნდა შეარჩიოს, მიწის ნაკვეთები გამოუყოს და სამსახურით ან პენსიებით უზრუნველყოს. იგეგმება ორენოვანი სკოლების გახსნაც, სადაც სწავლება ქართულ და თურქულ ენებზე განხორციელდება.
კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ხელისუფლება აპირებს მუშაობას, მესხების დაბრუნებასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის შემზადებაა, რაც, ალბათ, ყველაზე რთული ამოცანა იქნება.
იმიგრანტებისთვის პირობების შექმნასთან დაკავშირებული ბუნებრივი პრობლემების გარდა, მესხების საკითხს მეტისმეტად დიდი ემოციური დატვირთვა აქვს.
„მუსლიმანი მოსახლეობის მასობრივი რეპატრიაცია საშიშია, რადგან მესხთა უმრავლესობა თავს ქართველად სულაც არ სცნობს. მათ აქ გადმოსახლება და ცხოვრება სურთ, როგორც თურქებს", – განაცხადა აგვისტოში გამართულ პრესკონფერენციაზე სახალხო ფრონტის ლიდერმა ნოდარ ნათაძემ.
ადამიანთა უმრავლესობა, ვისაც IWPR-მა რეპატრიაციის პროგრამის შესახებ აზრის გამოთქმა სთხოვა, ამ საკითხს ეჭვის თვალით უყურებს და ზოგიერთ შემთხვევაში უკიდურესად

სერგო ბურჯალიანი

მუსლიმანი მესხები ახალციხეში

უარყოფით დამოკიდებულებასაც გამოხატავს.
„თურქი მესხები მასობრივად დავასახლოთ საქართველოში? თბილისი უკვე მიაქვს ლტოლვილებს სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან. ამას სჯობს, საზღვარგარეთ მყოფი ქართველები დავაბრუნოთ! რატომ უნდა ჩამოვიყვანოთ მუსლიმანები, რომლებიც ჩვენგან ყოველნაირად განსხვავდებიან?", – იკითხა თბილისის მცხოვრებმა დავით გაჩეჩილაძემ.
თუმცა, ამავე დროს, გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ „ამ უბედურ ხალხს გულწრფელად თანაუგრძნობს".
თავად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ზოგიერთი ადგილობრივი მცხოვრები რუსეთის 1917 წლის რევოლუციის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში ეთნიკური ნიშნით გაღვივებულ კონფლიქტებს იხსენებს. მტრული დამოკიდებულების გასამართლებლად ადგილობრივები 1918-19 წლებში ქრისტიანულ სოფლებზე მუსლიმანების თავდასხმების შესახებ მოგვითხრობენ.
სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს მარატ ბარათაშვილი. „წარსულში მუსლიმან მესხებთან აბსოლუტურად ნორმალური, კეთილმეზობლური დამოკიდებულება იყო. ასე რომ, მათი დაბრუნება არავისთვისაა საშიში. სინამდვილეში საფრთხეს შესაძლო პროვოკაციები და პოლიტიკური თამაშები ქმნის, რომლებშიც დიდი ქვეყნები არიან ჩართული".

დაბრუნებული მესხების გამოცდილება

ბარათაშვილი ერთ-ერთია იმ მესხთაგან, რომლებიც საქართველოში ჯერ კიდევ მაშინ დასახლდნენ, ვიდრე რეპატრიაციასთან დაკავშირებით საუბარი დაიწყებოდა. მესხ რეპატრიანტთა კავშირი, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, სამშობლოში დაბრუნებულ და ამჟამად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ დაახლოებით 600 ადამიანზე ინფორმაციას აგროვებს.
რეპატრიანტთა ჯგუფები სამცხე-ჯავახეთსა და ქვეყნის სხვა რეგიონებში დასახლდნენ. ბარათაშვილი თბილისში გასული საუკუნის 80-იან წლებში ახალციხედან გადმოსახლდა, რადგან იქაურ პირობებს ვერ შეეგუა. სხვები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ახლადაშენებულ სოფლებში დასახლდნენ. 2003 წელს რეპორტაჟში სათაურით „მესხები საქართველოში ახალ ცხოვრებას იწყებენ" IWPR-მა მესხთა ერთ-ერთი ასეთი დასახლების წინაშე მდგარი პრობლემები გააშუქა.
ბევრი რეპატრიანტი დისკრიმინაციაზე საუბრობს, რომელსაც საქართველოში დამკვიდრებისას განიცდიდნენ. „თავიდან ძალიან უსამართლოდ გვექცეოდნენ. ჩვენს ფანჯრებს ქვებს ესროდნენ და გვიყვიროდნენ, წადით აქედან, თათრებო", – განუცხადა IWPR-ს გულარ ხუციშვილმა, რომელმაც ახალციხეში თავისი ოჯახი რამდენიმე წლის წინ ჩაიყვანა.
„პატარა ბავშვები გვყავდა და მათ ძალიან ეშინოდათ. მაგრამ თანდათან მდგომარეობა შეიცვალა და ახლა ყველაფერი კარგადაა", – დასძინა მან.
გულარის ნათესავი მამუკა ხუციშვილი, რომელიც ახალციხეში საცხოვრებლად 1997 წელს გადავიდა, თავს ქართველად მიიჩნევს და შვილებს ქართულ სკოლაში ასწავლის. თუმცა მეზობლები მას მაინც „თურქს" უწოდებენ.
„მე ქართველი ვარ, მაგრამ ხალხს ამის აღიარება უჭირს. მათ არ ესმით, რომ როცა „თურქ მესხებს" გვეძახიან, გულს გვტკენენ", – გვითხრა მამუკამ.
ზოგიერთ ქართველს მესხების ჩამოსახლების პროცესის გაგრძელების საწინააღმდეგო არგუმენტად აქამდე ჩამოსახლებულებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ურთიერთობაში არსებული სირთულეები მოჰყავს.
ლალი კოპალიანი იმერეთში, მესხებით დასახლებული სოფლის – ახალი იანეთის ახლოს ცხოვრობს. მისი აზრით, მესხი მეზობლები დანარჩენებისგან იმდენად განსხვავებულები არიან, რომ მათი ინტეგრირება ძალიან რთული იქნება.
„მათ მხოლოდ ქართული გვარები აქვთ. ჩვენ განსხვავებული წესით ვცხოვრობთ და სხვა სარწმუნოება გვაქვს. შერეული ოჯახების რაოდენობის გაზრდა არ მსურს. ვინ ვიქნებით მერე ჩვენ, ქართველები?", – ამბობს ლალი.

განსახლების ადგილი – უმნიშვნელოვანესი ფაქტორი

ამჯამად ცნობილი არაა, სად აპირებს ხელისუფლება რეპატრირებული მესხების დასახლებას – მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში თუ მთელ საქართველოში.
როგორც ჩანს, უპირატესობა მეორე ვარიანტს ენიჭება.
„ცენტრალურ აზიაში ჩვენი ვიზიტის დროს ყველაზე ხშირად გვესმოდა შეკითხვა, საკუთრივ მესხეთში დაბრუნდებოდნენ თუ არა. ამ ხალხმა ბევრი უბედურება და შეურაცხყოფა გადაიტანა. ისინი იძულებით გადაასახლეს და მათი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება ჩვენი ვალია", – განაცხადა გოგა ხაინდრავამ.
„თუმცა მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია საქართველო, ისევე როგორც ყველა ქართველისთვის – სამშობლო მთელი ქვეყანაა და არა მხოლოდ მისი რომელიმე ნაწილი. ასე რომ, რეპატრირებულები დასახლდებიან იქ, სადაც შესაძლებელი იქნება", – დასძინა მან.
ბარათაშვილი ამგვარ მიდგომას არ იზიარებს და საქართველოს კონსტიტუციას იშველიებს, რომელშიც ნათქვამია, რომ ნებისმიერ მოქალაქეს საცხოვრებელი ადგილის საკუთარი სურვილით არჩევის უფლება აქვს.

რამდენი მესხი აპირებს დაბრუნებას?

რეალურად, ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომ დაბრუნება მთელმა დიასპორამ მოინდომოს. რუსეთის სამხრეთში, კრასნოდარში მცხოვრებმა დაახლოებით 18 ათასმა მესხმა, შესაძლოა, ჩამოსვლის სურვილი გამოთქვას, რადგან მათ ადგილობრივი ხელისუფლება ავიწროებს.
კრასნოდარში მცხოვრებმა 2 ათასამდე მესხმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრების უფლება უკვე მიიღო. საუბრობენ, რომ მომავალი წლიდან აშშ-ში ცხოვრების უფლებას პრაქტიკულად მთელი დიასპორა მიიღებს.
მეორე ჯგუფი – აზერბაიჯანში მცხოვრები 100 ათასამდე მესხი ადგილობრივ მოსახლეობას ენობრივი, კულტურული და რელიგიური სიახლოვიდან გამომდინარე, ადვილად შეეგუა. 15 ნოემბერს აზერბაიჯანში მესხური ასოციაციის „ვატანის" ლიდერმა იბრაჰიმ ბურხანოვმა განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებისა და ევროსაბჭოს პოზიციის გათვალისწინებით ახლა რეპატრიაციის რეალური შესაძლებლობა არსებობს. მაგრამ აზერბაიჯანში მცხოვრებ მესხთაგან რამდენი გადაწყვეტს ამ შესაძლებლობის გამოყენებას, ჯერ გამოკვეთილი არ არის.
„ყაზახეთში ისინი მშვიდად ცხოვრობენ და საკუთარ მეურნეობასაც ფლობენ. მათთან შეხვედრამ გვაჩვენა, რომ საქართველოში ჩამოსვლის სურვილი იქ მცხოვრებთა 20 ან 25 პროცენტს თუ ექნება", – განაცხადა ხაინდრავამ ცენტრალურ აზიაში ვიზიტის შემდეგ.
სამთავრობო კომისიის წევრები კონკრეტულ ციფრებს ვერ ასახელებენ, მაგრამ მიიჩნევენ, რომ დაბრუნების მსურველთაგან უმეტესობა სოციალურად დაუცველი მოსახლეობა იქნება; აგრეთვე მოხუცები, რომლებსაც თავიანთი ქვეყანა ჯერ კიდევ ახსოვთ. ხაინდრავას აზრით, საზღვარგარეთ მცხოვრები მესხების დაახლოებით 30 პროცენტი შეიძლება დაბრუნდეს. თუმცა გაუგებარია, კონკრეტულად რა რაოდენობა ჰქონდა მას მხედველობაში.
„ყველაფერი ცენტრალური აზიის არქივებში მიკვლეული ინდივიდუალური საქმეების გადახედვის შემდეგ გაირკვევა. ამისათვის რამდენიმე თვე დაგვჭირდება", – განაცხადა თეიმურაზ ლომსაძემ.

არჩევნები ჩეჩნეთში სტაბილურობის მცირე იმედს იძლევა

საპარლამენტო არჩევნებზე ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის მომხრეთა არდაშვება რესპუბლიკაში დემოკრატიის ნაკლებობაზე მიანიშნებს.

ტიმურ ალიევი, გროზნო

ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ 27 ნოემბერის საპარლამენტო არჩევნებზე ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის მომხრეთა კანდიდატების არდაშვება მიანიშნებს, რომ პარლამენტი რესპუბლიკაში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობას ვერ შეძლებს. რეგისტრაციაში გაატარეს მხოლოდ ის კანდიდატები და პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც ჩეჩნეთი რუსეთის ტერიტორიად მიაჩნიათ. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ეს მესამე არჩევნებია, რომელშიც კრემლის მომხრე პარტიის – „ერთიანი რუსეთის" გამარჯვებაა მოსალოდნელი. ამ გამარჯვებით რუსეთი კიდევ ერთხელ ხაზგასმით მიანიშნებს, რომ ჩეჩნეთი მისი ტერიტორიაა.
არჩევნების კანონიერებასა და მნიშვნელობასთან დაკავშირებით გავრცელებული სკეპტიციზმის მიუხედავად, კანდიდატებს, როგორც ჩანს, სჯერათ, რომ საარჩევნო პროცესი სამართლიანად მიმდინარეობს. მათ მიაჩნიათ, რომ ახალი პარლამენტი ჩეჩენი ხალხის ცხოვრების დონეს გააუმჯობესებს.
„პარლამენტის მუშაობა ჩეჩნეთში კონსტიტუციური წესრიგის დამყარებას ხელს შეუწყობს", – განაცხადა რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა აკმარ ატსაევმა.
ხელისუფლებამ არჩევნებისთვის დემოკრატიური ელფერის მიცემა გადაწყვიტა. ამიტომ რეგისტრაციაში პოლიტიკური სპექტრის თითქმის ყველა პარტია გაატარეს, დაწყებული ისეთი ლიბერალებით, როგორიცაა, მაგალითად, „მემარჯვენე ძალთა გაერთიანება" და დამთავრებული ისეთი ნაციონალისტებით, როგორებიცაა „როდინა" და „ლიბერალ-დემოკრატები".
რეგისტრაცია მემარცხენე კომუნისტებმაც გაიარეს. მათი 350-მდე კანდიდატი ორპალატიან პარლამენტში 58 ადგილისთვის იბრძვის.
ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, პოლიტიკური პლურალიზმის დემონსტრირებით დასავლეთს იმაში არწმუნებენ, რომ ჩეჩნეთში დემოკრატია ვითარდება. „ამ პარლამენტმა დანარჩენ სამყაროს უნდა უთხრას, რომ ჩვენთვის დემოკრატიული ღირებულებები მნიშვნელოვანია. აგრეთვე ისიც, რომ საერთაშორისო საზოგადოებას არაფერი აქვს სანერვიულო", – განაცხადა ანალიტიკოსმა მურად ნაშკოევმა.
„ერთიანი რუსეთი", რომელსაც 49 კანდიდატი ჰყავს, ყველაზე დიდი პარტიაა. ის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისა და სხვა გავლენიანი პოლიტიკოსების მხარდაჭერით სარგებლობს. ჩეჩნეთის მომავალ მთავრობას, სავარაუდოდ, სწორედ ეს პარტია დააკომპლექტებს.
„გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი პარტია ყველაზე ძლიერია; აქ ჩვენ 27 ათასი წევრი გვყავს. წარმომადგენლობებიც ყველა სოფელში გვაქვს. ვფიქრობ, გავიმარჯვებთ", – განაცხადა „ერთიანი რუსეთის" წევრმა, პარლამენტარმა რუსლან იამადაევამ.
იმის მიუხედავად, რომ კანდიდატთაგან ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის მომხრე არავინ არის, ზოგიერთს მოკლული პრეზიდენტის ასლან მასხადოვის სეპარატისტულ ადმინისტრაციაში მაღალი თანამდებობა ეკავა. თუმცა მოგვიანებით მათ მასხადოვის ქმედებები დაგმეს და მოსკოვს ერთგულება აღუთქვეს.
ერთ-ერთი ასეთი კანდიდატი, მემარჯვენე ძალების წარმომადგენელი – მასხადოვის ყოფილი თავდაცვის მინისტრი მაგომედ კანბიევია. მისი ძმა უმარი დღეს საფრანგეთში ცხოვრობს და მასხადოვის დევნილ მთავრობაში ჯანდაცვის მინისტრის პოსტსაც ინარჩუნებს.
მაგომედ კანბიევის კანდიდატურის დასახელებით ოფიციალურ პირებს არჩევნების დემოკრატიულობის დემონსტრირება სურდათ. „ეს იმის მანიშნებელია, რომ საარჩევნო კომისია ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს. ნებისმიერ კვალიფიციურ ადამიანს უფლება აქვს დარეგისტრირდეს და კანდიდატი გახდეს", – განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ ისლამ ბაიკანოვმა.
მართლაც, კანბიევს, რომელიც მემარჯვენეთა სიაში რიგით მეორეა, მომავალ პარლამენტში ადგილი თითქმის გარანტირებული აქვს, რადგან მას მხარი ჩეჩნეთის ბოლო პრეზიდენტის ახმად კადიროვის ვაჟმა, რესპუბლიკის ყველაზე გავლენიანმა პოლიტიკოსმა რამზან კადიროვმა დაუჭირა. კადიროვი პოლიციასა და ჯარს ხელმძღვანელობს. „მაგომედ კანბიევი ჩემი ერთადერთი კანდიდატია", – განუცხადა ოქტომბრის დასასრულს გუდერმესში შეკრებილ სამართალდამცავებს უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა.
მიუხედავად ასეთი მეგობრებისა თუ მფარველებისა, კანბიევის მიმართ ჩეჩნეთში ბევრი უარყოფითადაა განწყობილი. მის საარჩევნო პლაკატებს გაკვრისთანავე ხევენ.
„კანბიევისნაირები პოლიტიკური კონფორმისტები არიან. ისინი ძალაუფლების მოსაპოვებლად ყველაფერზე წავლენ", – თქვა მიმომხილველმა ედილბეკ კასმაგომადოვმა.
ანალიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ პარლამენტში დამოუკიდებლობის ჭეშმარიტი მომხრეების არარსებობა რესპუბლიკაში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებას ხელს არ შეუწყობს.
„ე.წ. სეპარატისტების გარეშე მომავალი პარლამენტი ჩვენს საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკურ სპექტრს არ ასახავს", – განაცხადა მიმომხილველმა ედილბეკ კასმაგომადოვმა.
„ყველასთვის უკეთესი იქნებოდა, თუ სეპარატისტებს ლეგალურად, მშვიდობიანი გზით მოქმედების უფლებას მისცემდნენ. ამის მაგივრად მათ ტყისკენ უბიძგებენ, სადაც შეიარაღდებიან და უფრო აგრესიულები ხდებიან", – დასძინა მან.
ზოგიერთი კანდიდატი იზიარებს ხელისუფლების პოზიციას, რომელიც ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის მომხრეებს არჩევნებში მონაწილეობას უკრძალავს. „რა სიკეთე მოუტანეს ქვეყანას მთავრობაში ყოფნის დროს? ასეთი ხალხი ჩვენს მართვას აღარ უნდა ცდილობდეს", – თქვა რუსეთის არმიის გენერალმა კავაზი ასკაბოვმა, რომელიც კენჭს დამოუკიდებლად იყრის.
პარლამენტის ლეგიტიმურობისა და ეფექტურობის ხარისხი დაბალი არა მარტო იმის გამო იქნება, რომ იქ სეპარატისტებს არ შეუშვებენ. ანალიტიკოსთა თქმით, ჩეჩნეთის კონსტიტუციის თანახმად პარლამენტი მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის დანამატის ფუნქციას ასრულებს.
„პირველ რიგში საკონსტიტუციო რეფერენდუმი ჩავატარეთ და პრეზიდენტი ავირჩიეთ, პარლამენტს კი მხოლოდ დღეს ვირჩევთ. არადა, ამით უნდა დაგვეწყო და საკანონმდებლო ბაზა შეგვექმნა", – განაცხადა კაზმაგომადოვმა.
„ჩვენ გვჭირდება პარლამენტი, რომელიც მთავრობას მთლიანად არ დაექვემდებარება. „ერთიანი რუსეთი" უეჭველად გაიმარჯვებს, მაგრამ როდესაც ამას ვამბობ, ვგულისხმობ, რომ სინამდვილეში გამარჯვებული ჩვენი სამთავრობო ბიუროკრატია და მათ უკან მდგომი კლანები იქნებიან", – დასძინა მან. საერთაშორისო საზოგადოებას მიმდინარე საარჩევნო პროცესზე, როგორც ჩანს, ასეთივე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. ევროპის საბჭომ უარი განაცხადა დამკვირვებლების გამოგზავნაზე, რადგან ჩეჩნეთის მიმართ რუსეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით ჯერ თავად უნდა ჩამოაყალიბოს პოზიცია. „ევროპის საბჭო მცირე ჯგუფს ინფორმაციის მოსაგროვებლად გამოგზავნის და არა არჩევნების სამეთვალყურეოდ", – ნათქვამია ევროპის საბჭოს განცხადებაში, რომელიც მოსკოვში მისმა წარმომადგენლობამ გაავრცელა.
გასაკვირი არ არის, რომ ჩეჩნები სკეპტიკურად არიან განწყობილი არჩევნებისადმი, მით უმეტეს, რომ წესრიგი და სტაბილურობა ვერც წინა არჩევნებმა მოიტანა. „არჩევნებისა და რეფერენდუმებისგან ბევრს არაფერს ველი. მათ გვითხრეს – ჩაატარეთ რეფერენდუმი და ომი შეწყდებაო. მაგრამ რეფერენდუმს ომის შეჩერება არ შეუძლია. ამ ხალხს ჩვენ არ ვაინტერესებთ, მათ თავიანთი მიზნები აქვთ", – თქვა 41 წლის აბუბაკარ სამბიევმა, კომპიუტერული პროგრამების სპეციალისტმა გროზნოდან.
ზოგიერთი ჩეჩენი დემოკრატიის დამკვიდრების ნებისმიერ მცდელობას მიესალმება. „სულ არაფერს სჯობს, რაღაც პარლამენტი მაინც იყოს", – გვითხრა გროზნოს 46 წლის მკვიდრმა თამარამ.

institute for war & peace reporting

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით. სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.
კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

გამოძიებას დამნაშავის მფარველობაში ადანაშაულებენ

პირველი გვერდიდან

მოგვიანებით, გამომძიებლმა დავით გოდელაშვილმა დაზარალებულ ოჯახის წევრებთან თავი იმით იმართლა, რომ დამნაშავის გაშვება უბრძანეს, თუმცა იგი "ბრძანების გამცემი" კონკრეტული ძალოვანი ჩინოვნიკის დასახელებისგან თავს იკავებს. გარდაცვლილის ოჯახს კი მიაჩნია, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილის გაშვება გურჯაანის ექსპროკურორის რევაზ ჩივიაშვილის ინტერესებში შედიოდა. **"დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეში პროკურორმა ქრთამი აიღო. თუ თავიდან მპირდებოდა, რომ დამნაშავეს დააკავებდა, ბოლოს ხელი რაღ-ამ შეუშალა? გარდა ამისა, პროკურორი იმ დროს ის იყო და მის გარეშე დამნაშავეს გარეთ ვერ გამოუშვებდნენ. ბოლოს ასე მეუბნებოდა, ყველა ავარიაზე ხალხი რომ დავიჭიროთ, არ შეიძლებაო. გოდელაშვილმა ისიც გვითხრა, ღირსიაშვილებს მანქანა სწორედ ჩივიაშვილის ბრძანების შემდეგ გავატანეო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ამ უკანასკნელის ინტერესებში შედიოდა".**

გარდაცვლილი ვეფხია სიმონიშვილის დედა ამბობს, რომ, დამშვიდების ნაცვლად, პროკურორი სიმონიშვილების ოჯახის წევრებს ემუქრებოდა. **"ასე გვეუბნებოდა, დამნაშავის ოჯახს რამე რომ დაუშავდეს, იცოდეთ, პასუხს თქვენ აგებთო,"** - გვითხრა თამარ სიმონიშვილმა.

ავტოსაგზაო შემთხვევიდან ორი წელი გავიდა. გარდაცვლილ ვეფხია სიმონიშვილის ოჯახის წევრებს კი მხოლოდ ის წერილები შემორჩათ, რომლებიც გენერალურმა პროკურატურამ მათი მიმართვის საფუძველზე გამოუგზავნა. ისინი მიმდინარე წლის აპრილის თვით არის დათარიღებული. ციტატა გენერალური პროკურატურის საპასუხო წერილდან: **"საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შემოსული თქვენი განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ გამოთხოვილი და შესწავლილ იქნა კ. ღირსიაშვილის მიმართ შექმნილი სამძებრო საქმე. საქმეში არსებული დარღვევებისა და კ. ღირსიაშვილის ძებნის გააქტიურების მიზნით, წარდგინება იქნა გაგზავნილი კახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში".**

ამ დროისათვის გამომძიებელი დავით გოდელაშვილი უშიშროების დეპარტამენტის მთავარი გამომძიებელია. იგი მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას უსაფუძვლოს უწოდებს და აცხადებს: **"იმ დროს ისეთი კანონი იყო, რომ თუ დამნაშვეს ბრლადებას 48 საათში არ წაუყენებდი, იგი წინასწარი დაკავების იზოლატორიდან ავტომატურად თავისუფლდებოდა. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა, რადგან ის ექსპერტიზის დასკვნა, რომელსაც უნდა დაედგინა, შეეძლო თუ არა მძღოლს მანქანის გაჩერება, იმ დროს წარმოგვიდგინეს, როდესაც ეჭვმიტანილის დაკავებიდან დადგენილი დრო უკვე გასული იყო. გამოძიებამ მძღოლის მიმართ ძებნა მაშინ გამოაცხადა, როცა ექსპერტიზის დასკვნა მივიღეთ,"** - აცხადებს გამომძიებელი.

დიდი მცდელობის მიუხედავად, პროკურორ რევაზ ჩივიაშვილთან, რომელიც დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებულია, დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. სამხარეო პოლიციის უფროსი თეიმურაზ ანჯაფარიძე კი მომხდარის თაობაზე აცახდებს, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობს სამძებრო ღონისძიებები.

გარდაცვლილი 21 წლის ვეფხია სიმონიშვილის მშობლები დამნაშავის დროულად დაკავებას მოითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სხვა ზომების მიღებას შეეცდებიან. **"მაშინ ჩვენ - გამწარებულ მშობლებს, იმისთვის არ გვეცალა, რომ საჩივარი დაგვეწერა, ამასობაში კი დამნაშავე გაუშვეს... არც ძველი მთავრობის მჯეროდა და არც ახლის მჯერა. მხოლოდ ცარიელი ქაღალდები მოდის; გვწერენ, ძებნაშიაო, მაგრამ ფაქტი სახეზეა - დამნაშავეს არც არავინ ეძებს,"** - ამბობს ვეფხიას დედა თამარ სიმონიშვილი.

გალის რაიონის სოფლებში აფხაზებს დამატებითი რაზმები შეჰყავთ

გალის რაიონის სოფელ თაგილონში მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ გალის აფხაზურმა ადმინისტრაციამ გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში - ოტობაია, ნაბაკევი, თაგილონი და ჭუბურხინჯი - აფხაზური ძალების დამატებითი რაზმები შეიყვანა. როგორც სოფელ ოტობაიაში მცხოვრები ქართველი მოსახლეობა აცხადებს, გუშინწინ საღამოს სოფელ ოტობაიაში, დაახლოებით, 50-კაციანი ჯგუფი შევიდა. ისინი ავტომატებით, ყუმბარმტყორცნებით არიან შეიარაღებულები და ზუგდიდი-გალის ადმინისტრაციულ საზღვარს აკონტროლებენ. გარდა ამისა, დამატებითი ძალების კონცენტრირება შეინიშნება გალის რაიონის სოფელ საბერიოში და რეჩხში, სადაც აფხაზურმა ადმინისტრაციამ "ვარდნილ ჰესის" თვითნებური რემონტი დაიწყო.

გალის ლეგიტიმური გამგეობის ხელმძღვანელობა ამ ფაქტთან დაკავშირებით აცხადებს, რომ გალის რაიონში დამატებითი ძალების შეყვანა უკავშირდება ქართული მოსახლეობის ეთნიკურ წმენდას და არ არის გამორიცხული, ამას გართულებები მოჰყვეს.

ცნობილია, ასევე, რომ გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლების ქართველი მოსახლეობა სახლებს ტოვებს და ისინი ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე გადადიან.

როგორც ცნობილია, გუშინწინ დილით გალის რაიონის სოფელ თაგილონში დაუდგენელმა პირებმა ააფეთქეს ავტომანქანა, რომელშიც თაგილონის აფხაზეთის შტაბის უფროსი, აფხაზეთის ორგზის გმირი გივი წულაია იმყოფებოდა. ადგილობრივი მოსახლეობის განმარტებით, გივი წულაია და მისდამი დაქვემდებარებული შეიარაღებული პირები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ ქართველების მიმართ. აფეთქების შედეგად გივი წულაია გარდაიცვალა. მასთან ერთად მანქანაში მყოფი აფხაზური მილიციის ორი წარმომადგენელი კი მძიმედ არის დაჭრილი. წინასწარი ინფორმაციით, მანქანა რამდენიმე დღის წინ დადებულ ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ვარაუდობს, შესაძლოა, ამ აფეთქებაში ერიოს ქართველი პარტიზანების ხელი, რომლებიც ბოლო პერიოდში გალის რაიონის ტერიტორიაზე გააქტიურდნენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით ქართული მხარე კომენტარს არ აკეთებს. **24 საათი**

საკადრო ცვლილებები ლიახვის ხეობის პოლიციაში

ლიახვის ხეობის პოლიციაში მორიგი საკადრო ცვილელები განხორციელდა. ერედვის პოლიციის განყოფილება ხელმძღვანელობის გარეშეა დარჩენილია. გუშინ გახდა ცნობილი, რომ მოხსნილია განყოფილების უფროსი დავით ცხოვრებაშვილი, ასევე - მისი მოადგილეებიც. დავით ცხოვრებაშვილის მოხსნის მიზეზი არ კონკრეტდება. მან აღნიშნულ თანამდებობაზე სულ ორი კვირის განმავლობაში იმუშავა. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ერედვის პოლიციის უკვე მესამე უფროსს ხსნიან. ერედვის პოლიციის ხელმძღვანელობის გარდა, თანამდებობიდან გაათავისუფლეს ამ განყოფილების 12 თანამშრომელი. როგორც ამბობენ, ისინი ე.წ. შავ სიაში მოხვდნენ, რომელიც ბოლო დღეებში პოლიციაში გამოჩნდა. როგორც გათავისუფლებულები აცხადებენ, მათთვის უცნობია, ვინ შეადგინა "შავი სია" და რატომ შეიყვანეს აღნიშნული პოლიციელები ამ სიაში. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, მთავარია, დაინიშნოს ადგილობრივი კადრი, რომელიც კონფლიქტის ზონაში ვითარებას კარგად იცნობს და მასზე დაკისრებულ მოვალეობას თავს გაართმევს. ჯერჯერობით უცნობია, ვინ დაიკავებს ერედვის პოლიციის უფროსის პოსტს. **ინტერპრესნიუსი**

კოკოითის ხელისუფლება და რუსი სამშვიდობოები ბრალდებებს უარყოფენ

ცხადია, არავინ ელოდა, რომ სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თვითმარქვია ხელისუფლება და მათი ინტერესების სამსახურში მყოფი რუსეთის სამშვიდობო ჯარების ხელმძღვანელობა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ კონკრეტულ დანაშაულებში მხილების შემდეგ, აღიარებითი ჩვენებებით მიმართავდა საქართველოს ხელისუფლებას. შესაბამისად, გასაკვირი არ გახლავთ, რომ კვირას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულმა სქემამ, რომელიც ედუარდ კოკოითის თვითმარქვია ხელისუფლების წარმომადგენელთა და ამ ხელისუფლების დამხმარე პირთა დანაშაულებრივ საქმიანობაში ურთიერთდამოკიდებულებას ასახავდა და დეტალურად შეიცავდა ამ დანაშაულებრივი საქმიანობის ჩამონათვალს, ცხინვალის დე-ფაქტო მმართველებისა და რუსეთის სამშვიდობო ბატალიონის სარდლობის უკმაყოფილება გამოიწვია.

მარატ კულახმეტოვი.

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი "შეურაცხმყოფელს და პროვოკაციულს" უწოდებს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებისგან შექმნილ კრიმინალურ სქემას, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა. სხვათა შორის, ამ სქემის თანახმად, თავად ჩოჩიევს ჰუმანიტარული დახმარებების მითვისება ბრალდება.

მისი განცხადებით, ქართული მხარე აღნიშნული სქემის გავრცელებით ცდილობს, დაარწმუნოს საერთაშორისო თანამეგობრობა, რომ **"სამხრეთ ოსეთს დამნაშავე, კრიმინალური რეჟიმი მართავს"**.

"ვიდრე საქართველოს ხელისუფლებაში ვანო მერაბიშვილის მსგავსი პოლიტიკოსები იქნებიან, ქართველ და ოს ხალხს არ შეიძლება ჰქონდეს კონფლიქტის მოგვარების იმედი", - აღნიშნავს ჩოჩიევი. დე-ფაქტო მინისტრის აზრით, **"საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება დასავლეთის დაკვეთას ასრულებს, რასაც ქართველი ხალხის ინტერესებთან საერთო არაფერი აქვს."** თუმცა ის არ აკონკრეტებს, რაში მდგომარეობს ეს "დასავლეთის დაკვეთა".

ჩოჩიევის მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება ქართულ-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებით სამშვიდობო ინიციატივებს ხშირად ახმოვანებს, ოფიციალური თბილისი კონფლიქტის ძალისმიერად მოგვარებისთვის ემზადება და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების დისკრედიტაციის პოლიტიკას მიზანმიმართულად ახორციელებს.

სპეციალურ განცხადებას აკეთებს ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ზონაში მოქმედი სამშვიდობო ძალების სარდალი გენერალ-მაიორი მარატ კულახმეტოვი, რომლის შესახებაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ სქემაში ნათქვამია, რომ იგი, სამშვიდობო ჯარების სახით, რუსეთის სპეცსამსახურებისთვის საფარს უზრუნველყოფს და, ასევე, დახმარებას უწევს სეპარატისტების სამხედრო ძალებს. კულახმეტოვი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ, თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების კრიმინალურ სქემას "არასერიოზულს" უწოდებს; მეტიც, ქართველ სამართალდამცველებს იგი "არაპროფესიონალიზმში" ადანაშაულებს.

მარატ კულახმეტოვის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ იგი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ სქემას პირადად არ გასცნობია, **"იმას, რაც მეგობრებისაგან ამ სქემასთან დაკავშირებით შეიტყო, არასერიოზულად აფასებს"**.

"მსგავსი ინფორმაციების გავრცელება ქართველ სამართალდამცველთა არაპროფესიონალიზმს უკავშირება", - აღნიშნავს გენერალ-მაიორი.

მისივე თქმით, იგი და მისი კოლეგები, კარგა ხანია, მიეჩვივნენ ქართველ სამართალდამცავთა "უსაფუძვლო ბრალდებებსა და არაპროფესიონალიზმს" და მიაჩნიათ, რომ ქართული მხარის ამგვარ **"ბრალდებებზე სერიოზული რეაგირება დროის ფუჭად ფლანგვის ტოლფასია"**.

როგორც ცნობილია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული სქემის თანახმად, რომელიც გაზეთ "24 საათის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა, კრიმინალური ვერტიკალის ზემო რგოლში, რომელიც, უშულოდ, ედუარდ კოკოითს ექვემდებარება, შედიან რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის გენერალ-მაიორი, დე-ფაქტო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი იაროვოი (კონტრაბანდა და თანხების მითვისება); დე ფაქტო თავდაცვის მინისტრი ანატოლი ბარანკევიჩი (ადამიანთა გატაცება, კრიმინალების მფარველობა, კონტრაბანდა, ფულის მითვისება); დე ფაქტო პრემიერ-მინისტრი იური მოროზოვი (დიდი ოდენობით თანხების მითვისება); განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი (ჰუმანიტარული დახმარებების მითვისება); დე ფაქტო შს მინისტრი მიხეილ მინძაევი (კორუფცია, ყაჩაღური დაჯგუფებების მფარველობა, კონტრაბანდა, ყალბი ფულის დამზადება); ედუარდ კოკოითის ძმა რობერტ კოკოითი (კონტრაბანდა, მკვლელობა, ნარკობიზნესი, თანხების მითვისება, ყალბი ფულის დამზადება, ადამიანთა გატაცება); შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის მოადგილე, გენერალ-მაიორი, რუსეთის ფედერაციის გმირი იგორ გრუდნოვი (რუსეთის სპეცსამსახურებისთვის საფარის უზრუნველყოფა, ტერორისტული აქტები, სეპარატისტების სამხედრო ძალების დახმარება, იარაღით ვაჭრობა, კონტრაბანდა).

"ინტერპრესის" მიხედვით

ამერიკელი და ბრიტანელი ექსპერტები საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებენ

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით ამერიკელი და ბრიტანელი ექსპერტები ქართველ სამართალდამცველებს ოთხდღიანი ტრენინგის ფარგლებში საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ. გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" ევროპის უშიშროებისა და უსაფრთხოების ორგანიზაციის (ეუთო-ს) ფინანსური მხარდაჭერით, ოთხდღიანი ტრენინგ-პროგრამა გაიხსნა. პროგრამის ფარგლებში უცხოელი ექსპერტები საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომლებს კრიზისული ვითარების მენეჯმენტთან დაკავშირებით სწავლების კვალიფიციურ კურსს ჩაუტარებენ.

სწავლება ეუთო-ს მისიის ანტიტერორისტული საქმიანობის პროგრამის ფარგლებში ტარდება და მასში საქართველოს შს სამინისტროს ყველა დეპარტამენტის ხელმძღვანელები მონაწილეობენ. 21 ქართველ სამართალდამცველს სწავლების კურსს სამართლისა და დემოკრატიის ფლეჩერის სკოლის კონტრტერორისტულ სწავლებათა ჯებსენის ცენტრის წამყვანი ექსპერტები წაუკითხავენ.

ტრენინგის მიზანია კრიზისულ სიტუაციაში გადაწყვეტილებების მიღების დროს აუცილებელი უნარ-ჩვევების დახვეწა და შესაბამისი ცოდნის გაღრმავება. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა როი რივმა განაცხადა, საქართველოს შს სამინისტროსთან ეუთო უკვე 18 თვის განმავლობაში მუშაობს იმ მიზნით, რომ შეიქმნას ისეთი სტრუქტურა, რომელიც ტერორიზმს გაუმკლავდება.

მისი თქმით, ტრენინგის მიზანია უცხოელთა გამოცდილების გაზიარება, რომელიც ქართველ სამართალდამცველებს არა მარტო ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით დაეხმარება, არამედ - სტიქიებთან და ფორსმაჟორულ სიტუაციებში ქმედითი ზომების გონივრულად მიღებაში. საქართველოს შს მინისტრის მოადგილის შალვა ჯანაშვილის განცხადებით, ვინაიდან საქართველო კრიზისული ვითარებისგან დაცული არ არის, აღნიშნული პროექტი კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია გამოცდილების გაზიარებისა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის კუთხით. ოთხდღიანი ტრენინგი 1 დეკემბერს დასრულდება.

ინტერპრესნიუსი

გარანტირებული ხარისხის პროდუქცია "სოფლის ნობათი"-საგან

რძის პროდუქტების მწარმოებელმა კომპანიამ "სოფლის ნობათი" გასულ კვირას თბილისი ოთხ სკოლაში თავისი პირველი, შეიძლება ითქვას, თეატრალიზებული აქცია მოაწყო და საკუთარი პროდუქცია მოსწავლეებს გადასცა. მსგავსი აქციები გაგრძელდება და სხვა სკოლების აღსაზრდელებსაც ექნებათ მათში მონაწილეობის შესაძლებლობა.

აქციის მიზანი კი, როგორც კომპანიაში აღნიშნავენ, ბავშვებისთვის რძის პროდუქტების მნიშვნელობის პროპაგანდა გახლავთ.

ყოფილებს უმაღლესი ხარისხის სტანდარტების მოთხოვნებს და რეალურად ახორციელებს თავდაპირველ მიზანს, წარმოების პროცესში გამოიყენოს მხოლოდ ნატურალური რძე".

რაც შეეხება "სოფლის ნობათი"-ს სახელწოდებით ცნობილ პროდუქციის მწარმოებელ კომპანია შ.პ.ს. "ქართულ პროდუქტებს", იგი 2001 წელს, ადგილობრივი დამფუძნებლებისა და რამოდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაარსდა. დამფუძნელების მიზანი საქართველოში რძის პროდუქტების მწარმოებელი მოწინავე კომპანიის ჩამოყალიბება გახლდათ, რომელიც სამომხმარებლო ბაზარზე მაღალი ხარისხის პროდუქციით წარდგებოდა. უკანასკნელი წლების განმავლობაში, "სოფლის ნობათმა" კიდევ უფრო გააუმჯობესა თავისი პროდუქციის ხარისხი და თამამად შეიძლება ითქვას, რომ კომპანიას დღეისათვის მოწინავე პოზიცია უკავია ქართულ ბაზარზე.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ 2005 წელს, საერთაშორისო ჯგუფმა, რომელსაც ესპანელი ანდრეს ბლასკესი ხელმძღვანელობდა, კავკასიის მასშტაბით რძის მწარმოებელი კომპანიების შესწავლის შემდეგ, გადაწყვეტილება მიიღო ინვესტირება ქართულ საწარმო "სოფლის ნობათში" განეხორციელებინა. ბლასკესის შეფასებით, **"კომპანია აკმაყოფილებს ევროპის სტანდარტებს"**. ესპანელი ინვესტორი აღნიშნავს - "სოფლის ნობათი" თავისი პროდუქციის წარმოებისათვის აგროვებს ახალ რძეს კახეთისა და ქართლის რაიონებში და მთელი პროდუქცია დამზადებულია უმაღლესი ხარისხის რძეზე, არ შეიცავს დანამატებსა და კონსერვანტებს. ასე რომ პროდუქციის უმაღლესი ხარისხი გარანტირებულია.

აღსანიშნავია, რომ "სოფლის ნობათი" აერთიანებს 150-ზე მეტ პირდაპირ და არაპირდაპირ თანამშრომელს - დისტრიბუტორს, რძის შემგროვებელს და მნიშვნელოვანი ინგრედიენტების მომწოდებელ პარტნიორ ფერმერებს, რომლებიც ზრუნავენ მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებაზე. კომპანიის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, მას პარტნიორული ურთიერთობები აქვს დამყარებული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან - SwedFund და SweedAgri. ტექნოლოგიური პარტნიორები კი არიან ტეტრა-პაკი და ცნობილი ექსპერტი სანიტარულ საკითხებში Johnson Diversey.

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი .....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩაგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქაღალდებში არ განიხილება).

ᲛᲝᲥᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚ ᲡᲐᲓᲒᲐᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗᲘᲡ:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ცღდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელანი");
8. მეტროს სადგური "ვაჟას მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიღუბე";
10. ვიდეოშვილას 45 "სოფმენის" შენობის ხლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფრანგი ფოსტით შემდეგ მისამართზე: Off: თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის განცხადებაში (გაზ. "24 საათი", 9 ნომბერი, 2005 წელი), ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების შესახებ, პირველ პუნქტში უნდა იყოს "**არჩეული იქნება: პროფესორი - 41",** დანარჩენი როგორც ტექსტშია.

PSP პსპ

გვეკითხებით? გიპასუხებთ!

ჩვენი საინფორმაციო სამსახურის ნომერზე ხშირად შემოდის ზარები შეკითხვით:

რატომ არ გაჩნია პსპ-ს ავტოიატაკებს ე.წ. ხარისხის ნიშანი "A"?

პსპ საინფორმაციო სამსახური გაცნობებთ, რომ "PSP - ავტოიატაკს" პრიორიტეტი, უდავოდ, ხარისხია, რომელსაც ჩვენი საავტოიატაკო ქსელი უზრუნველყოფს GDP (სათანადო დისტრიბუციის პრაქტიკა) საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ნიშანი "A" კი არ წარმოადგენს საერთაშორისო ექსპერტების ან სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დადგენილ ხარისხის ნიშანს. აღნიშნული ნიშანი კომპანია ჯი-პი-სი-ს ანუ რიგით მესამე ფარმაცევტული დისტრიბუტორის სარეკლამო კამპანიის ნაწილია.

პსპ-ს საავტოიატაკო ქსელს გამოარჩევს თქვენთვის უკვე კარგად ცნობილი ნიშანი "PSP". ჩვენ ყოველდღიურად ვემსახურებით 20 000 მომხმარებელს, რომელთათვისაც ხარისხი და "PSP" იდენტური ცნებებია.

პსპ-ს საინფორმაციო სამსახური

სიყვარული და ზარმაცი ნიჭიერება

საფეხბურთო პულსის დუგდუგი ყველაზე ხმამაღლა მანჩესტერში ისმოდა ბოლო ხანს. იქაური გულშემატკივრებისთვის სამწუხაროდ, ეს არ იყო სასიამოვნო ხმა, რადგან განშორებით გამოწვეული ტკივილისგან იშვა. უცნაურია, მაგრამ ინგლისელთა უგუნებობის, იქაურ სტადიონებზე დაღვრილი ცრემლის მიზეზი ორი არაინგლისელი კაცი გახდა - ირლანდიელი როი კინი და ჩრდილოირლანდიელი ჯორჯ ბესტი. პირველმა "მანჩესტერ იუნაიტედი" დატოვა თუ დაატოვებინეს, მეორემ - აქაურობა.

ბესტის თამაში არ მინახავს, კინის - რამდენიც გენებოთ, მაგრამ მთავარი ეს კი არა, ის არის, რომ საფეხბურთო ცხოვრებას ორი არცთუ ჩვეულებრივი ადამიანი გამოაკლდა. შეიძლება როიმ კიდევ სადმე გააგოროს ბურთი, მაგრამ ის აღარასდროს იქნება ნამდვილი კინი, მანჩესტერელი გიუმაჟი კინი.

თუ მეხსიერება არ მღალატობს, ბესტი ბრიტანელთათვის ცოტა უცხო სასმელს, წითელ ღვინოს ეტანებოდა. ბესტს ქალებიც უყვარდა, უფრო ქერა და ქორფა ქალები. ვერც ფეხბურთს ივიწყებდა, რადგან ღმერთმა ამისთვის მოავლინა აქ. ღვინო, ფეხბურთი, ქალები: მეტად ჯიგიტური სამაიაა და როცა კაცს სამივე განყოფილებაში ბესტისებრი წარმატებები გაქვს, უკვე მაგარი ხარ.

■ ■ ■

ასეთი არაჩვეულებრივი ფეხბურთელები ჩვენც გვყოლია. ზოგი ეზოს ვერ გაცდა, ზოგი უბანს და ზოგიც რაღაც ასაკს. ამ ბიჭებზე ამბობდნენ, რომ გენიოსები არიან და მათაც ყველაზე მეტად ამის მოსმენა სიამოვნებდათ. განსაკუთრებით სუფრაზე, ლამაზ-ლამაზი გოგოშკების თანდასწრებით. ასეთებს ჩვენში "ნიჭიერებს, მაგრამ ზარმაცებს" ეძახიან და მათი ნახევარი მაინც პროფესიონალურ ფეხბურთს რომ გაჰყოლოდა, დღეს აყვავებულები ვიქნებოდით.

ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი ბიჭი უამრავი შემხვედრია. ბევრი მეგობარიც მყავს ასეთი და მათგან არც ერთი არ გამოვიდა ის, რაც უნდა გამოსულიყო. ჩვენ ერთად ვაოცებდით თბილისის სხვადასხვა ეზოებს, ვუგებდით მოქმედ ფეხბურთელებს, ხანდახან ნაკრების წევრებიც გაგვიმწარებია, მინიფეხბურთის გუნდებთანაც გვიჭიდავია კაცურად და უმეტესობას არ სჯეროდა ჩვენი არაპროფესიონალიზმისა.

იმ დღეს კასეტა ვიპოვე კარადაში. ასე, შემთხვევით ვპოულობ ხოლმე წელიწადში ერთხელ და სიამოვნების სეანსს ვიწყობ. ამ კასეტაზე ერთ-ერთი უბანთშორისი ტურნირის ფინალია ჩაწერილი: "იარმურკა"-"სოლოლაკი" იარმურკაზე, სომხური სკოლის ეზოში - იქ, სადაც ძალიან ბევრი ზარმაცი ნიჭიერი სჩადიოდა სასწაულებს.

იმ თამაშამდე ორიოდე კვირით ადრე "იარმურკა" "ცეკაზე" ფინალში გავამწარეთ 6:1. "ცეკაც" ლეგენდარული სარბიელია, მრავალ მალანდროთა აღმზრდელი. მგონი ერთხელ გიამბეთ კიდეც მისი ისტორია, თუ როგორ ააშენა ჯუმბერ პატიაშვილმა კომუნისტების დროს და როგორ იხვეწება ყოველი ახალი მთავრობის მოსვლისას. დღეს იქ უკვე ევროპული, ბიბინა საფარია თავისი პროჟექტორებით და ამბებით. "ცეკა" კი იმიტომ ჰქვია და ყველა ასე იმიტომ ევლება თავს, რომ მთავრობის სახლის წინაა სულხან-საბას ქუჩაზე.

სოლოლაკური ფინალისგან განსხვავებით, მეტოქე გაძლიერებული შემადგენლობით დაგვხვდა - მოედნის ოთხივე მოთამაშე ფეხბურთელი გახლდათ. ორისგან უკვე არაფერი იყო გამოსული, რიგითი ჯანიანი, სწრაფი ბიჭები იყვნენ. ერთი ადრე თბილისის "დინამოს" ძირითადში თამაშობდა, მეოთხე კი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ბავშვად ითვლებოდა.

ჩვენ? ჩვენ უბრალოდ უზომოდ გვიყვარდა ბურთის დევნა და რაც ამ შემთხვევაში უმთავრესია და რისთვისაც ვიხსენებ საერთოდ ამ ამბავს - გვიყვარდა ერთმანეთი. ჩვენ **ერთნი** ვიყავით. სიგარეტსაც ვაფუილებდით, სასმელიც გვიტაცებდა და ერთი დღეც არ გვივლია ფეხბურთზე.

ამოსუნთქვას არ გვაცლიდნენ, გაუჩერებლად დარბოდნენ და მაგრადაც გაგვაბრუეს. პირველი ტაიმი 0:2 წავაგეთ. მეორეში 2:2 გახდა და გახდა თუ არა, კიდევ ორჯერ გაგვიტანეს. სამი წუთი იყო დარჩენილი და რაღაც მოხდა. ალბათ სასწაული, ოღონდ ლოგიკური, რაღაცისგან წარმოქმნილი. ჯერ ერთი გავქვითეთ, ბოლო წამებზე გავათანაბრეთ და დამატებით დროში 6:5 მოვიგეთ.

ალბათ ეს მოხდა ბარსელონაშიც, როცა "მანჩესტერ იუნაიტედმა" "ბაიერნი" წააქცია. და რიო დე ჟანეიროშიც, 55 წლის წინათ, ახალაშენებულ, ბრაზილიელებით გაძეძგილ "მარაკანაზე", ურუგვაიმ რომ მოუგო მასპინძლებს. ფეხბურთი მარტო ფიზიკურ-ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება არ არის. ბევრ დიად ადამიანს უთქვამს, რომ ფეხბურთი ძალიან ჰგავს ცხოვრებას და მე მთლიანად ვეთანხმები ამ აზრს. პრაქტიკაში ვნახე და იმიტომ. ჰოდა, თუ სოკერი ცხოვრების პატარა მოდელია, მაშინ სიყვარულიც მნიშვნელოვანი ყოფილა. მნიშვნელოვანი კი არა, პრინციპში, გადამწყვეტიც.

ბრაზილია მაშინ ურუგვაიზე გაცილებით ძლიერი იყო, გერმანელებმაც მაგრად აჯობეს "იუნაიტედს" და "იარმურკამაც" უკეთ ითამაშა, მაგრამ სამივეს რაღაც აკლდა.

გვიყვარდეს ერთმანეთი, ჩვენი საქმე და ყველაფერი იმაზე კარგად იქნება, ვიდრე წარმოგვიდგენია.

P.S. საღოლ, კობი!

მომავალ სამშაბათამდე

ფეხბურთი

კაკას შეხედულებები

ბრაზილიელი კაკა, რომელსაც კარლოს პერეირამ ბრაზილიის ბოლო 50 წლის საუკეთესო ფეხბურთელი უწოდა, თანამედროვე ფეხბურთის შესახებ UEFA.COM-ს ესაუბრა.

- თქვენ "სან პაულუს" ცნობილი სკოლის აღზრდილი ბრძანდებით. რა განსხვავებას ხედავთ იქაურ და ევროპელ აღსაზრდელებს შორის?

- ბრაზილიურ კლუბებს ბავშვთა აღზრდის სისტემა უკეთესად აქვთ განვითარებული, ვიდრე ევროპელებს. იქაური კლუბები ცდილობენ თავიანთი რიგები ადგილობრივი კადრებით შეავსონ. ევროპაში ასეთ რამეს ვერ ვამჩნევ. კონკრეტულად რომელიმე ქვეყანაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ იტალიაში საკადრო პოლიტიკა ცნობილია - იმის ნაცვლად, რომ ფეხბურთელი აღზარდონ, ისინი მოთამაშეებს ყიდულობენ. ჩემი აზრით, იტალიურ კლუბებს უბრალოდ მოთმინება არ ჰყოფნით, რომ საკუთარი კადრი გაზარდონ. ძალიან ხშირად ახალგაზრდა ფეხბურთელებს ქვედა დივიზიონებში ანათხოვრებენ.

- ეს ევროპულ ფეხბურთზე აისახება?

- დიახ. ასეთი მოუთმენლობა ძლიერ დარტყმას მიაყენებს ეროვნულ ნაკრებ გუნდებს. მაგალითად, იტალიაში ახალგაზრდა ფეხბურთელები არ არიან ისეთი დატვირთულები, როგორც მათი ბრაზილიელი თანატოლები, რომელთა მიზანია გაარკვიონ, რამდენად მზად არიან პროფესიული კარიერისთვის. "სან პაულუს" იუნიორთა სკოლაში ძალიან მიყვარდა ძირითადი შემადგენლობის წინააღმდეგ თამაში. ამ პრობლემას შეიძლება უშველოს ნორმის დაწესებამ, რომელიც ითვალისწინებს გუნდში ფეხბურთელთა გარკვეული რაოდენობის საკუთარი კადრებით დაკომპლექტებას.

- ფეხბურთელებს ძალიან დიდი უფლებები ხომ არა აქვთ?

- არ ვეთანხმები იმ ადამიანებს, ვინც ფიქრობს, რომ ფეხბურთელებს ძალიან დიდი გავლენა აქვთ. ბოლო წლებში "ბოსმანის საქმემ" სატრანსფერო ბაზარზე ძალთა ბალანსი შეცვალა, მაგრამ კლუბები მაინც ახერხებენ საკუთარი კარნახით წარმართონ საქმე. თუ კონტრაქტს არ გააფორმებ სხვა გუნდში გადასვლის იმედით ან პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით, შეიძლება უბრალოდ სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდე. ასეთ სიტუაციებში არც ბოროტმოქმედები არსებობენ და არც გმირები.

- ფეხბურთელებს ძალიან მაღალ ხელფასებს ხომ არ უხდიან?

- თუ მინდორზე მოთამაშის როლს გავითვალისწინებთ, ვფიქრობ, რომ ხელფასი ადეკვატურია. არც ერთი გულშემატკივარი არ წავა სტადიონზე იმის გამო, რომ მმართველ დირექტორს დაუჭიროს მხარი. ისინი სტადიონზე ვარსკვლავების სანახავად დადიან. არ მინდა მეტიჩარას შთაბეჭდილება დავტოვო, მაგრამ შეხედეთ NBA-ის კალათბურთელებს. ისინი წამში 100 მილიონ დოლარს გამოიმუშავებენ. ფეხბურთში არც ისე ცოტა ფული ტრიალებს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ფეხბურთელთა ხელფასებზე მაინცდამაინც დიდი თანხები იხარჯება.

- თქვენი აზრით, როგორია აგენტების როლი თანამედროვე ფეხბურთში?

- არაკეთილსინდისიერი მოქცევის გამო ზოგიერთმა აგენტმა ყველა კოლეგას სახელი და რეპუტაცია შეულახა. თუმცა უზნეო ხალხი ყველგან არსებობს. არსებობს პატიოსანი აგენტთა არც ისე მცირე ჯგუფი, რომლებიც ფეხბურთელებს ხშირად ეხმარებიან. ეს სპეციალისტები ბევრ საკითხს რომ არ აგვარებდნენ, ფეხბურთელს გაუჭირდებოდა მთელი კონცენტრაცია თამაშზე მოეხდინა.

- თქვენი აზრით, რომელია პრესასთან ურთიერთობის საუკეთესო ფორმა?

- საუბარი. მე ჟურნალისტებთან ურთიერთობის წინააღმდეგი არ ვარ და ისინი საფეხბურთო სამყაროში ჩემს კოლეგებადაც მიმაჩნია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ინტერვიუს ყოველთვის ვიძლევი, მაგრამ პრესის როლი სპორტის სამყაროში უაღრესად მნიშვნელოვანია. ამასთან, პირად ცხოვრებაში ჩარევა წონასწორობას მაკარგვინებს. პაპარაცებმა შეიძლება ძალიან გამაღიზიანონ, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი ვცდილობ, მათ ერთი კადრი მაინც გადავაღებინო.

- ამდენი მატჩით ფეხბურთელები ძალიან ხომ არ იტვირთებიან?

- პასუხი მარტივია - ეს რომ მართალი არ იყოს, ფეხბურთელები იწუწუნებდნენ? ბოლოს და ბოლოს, პროფესიონალი ფეხბურთელი თავისი განსაზღვრებით ადამიანია, რომელსაც ფეხბურთის თამაში მოსწონს. თუმცა, თუ მატჩების რაოდენობა ძალიან ბევრია, ფეხბურთელი ნაკლებად მნიშვნელოვანი მატჩების წინ მოტივაციას კარგავს. ეს ძალიან გღლის. თუმცა, ასეთი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა ძალიან ძნელია. ამ საკითხით ხელმძღვანელი ორგანოები უნდა იყვნენ დაინტერესებულნი.

- დოპინგი სერიოზული პრობლემაა. როგორ შეიძლება მასთან ბრძოლა?

- გამოუვალი მდგომარეობა არ არის, მაგრამ დოპინგსა და წამლებს მუდმივი კონტროლი სჭირდება. უბრალოდ, უსამართლოა, როცა მოთამაშე ცდილობს ფიზიკურ ზღვარს გადააბიჯოს. თუმცა, ამას საერთო არაფერი აქვს აკრძალულ პრეპარატებთან, რომლებიც აღდგენას უწყობს ხელს. ფეხბურთელი ბევრისთვის მისაბაძი მაგალითია და მას უნდა ესმოდეს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს აკრძალული პრეპარატების გამოყენებას. ჩემთვის განსხვავება არ აქვს - რაღა აკრძალული პრეპარატი მიგიღია და რაღა ნარკოტიკი. ორივე საქციელი ამორალურია.

მეორე საგრანტო კონკურსი სკოლებისათვის კომპიუტერული აღჭურვის მოსაპოვებლად

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროგრამა "ირმის ნახტომის" ფარგლებში, აცხადებს მეორე საგრანტო კონკურსს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებისთვის კომპიუტერული აღჭურვის მოსაპოვებლად.

პროგრამა "ირმის ნახტომის" მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის მოდერნიზაციას საქართველოს სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შექმნითა და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებით.

მიმდინარე საგრანტო კონკურსი ითვალისწინებს გამარჯვებულ სკოლაზე 1-5 ახალ, თანამედროვე კომპიუტერის გადაცემას, მათ ინტერნეტში ჩართვას და მასწავლებელთათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების განვითარებას.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებს საქართველოს ქალაქებიდან: თბილისი, ბათუმი, ფოთი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ქუთაისი, გორი, თელავი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სკოლებმა უნდა წარმოადგინონ საპროექტო განაცხადები. განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების წინადადებებს კონკრეტული მიზნების მისაღწევად, დასახული ამოცანების, მათი განხორციელების გზების, ვადების და მოსალოდნელი შედეგების აღწერით.

განაცხადის ფორმისა და კონკურსის პირობების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია პროგრამა "ირმის ნახტომის" ვებ-გვერდზე: www.dlf.ge და ოფისში.

მისამართი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დ. უზნაძის ქ. #52, თბილისი 0102, საქართველო, ოთახი 324, პროგრამა "ირმის ნახტომი". ტელ: (995 32) 95 62 94. ელექტრონული ფოსტა: info@dlf.ge

პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა: 2005 წლის 16 დეკემბერი, 16 საათი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მოწვევა კონკურსზე

ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის, თუშეთის ეროვნული პარკისა და ვაშლოვანის ეროვნული პარკის თანამშრომლებისათვის ინგლისური ენის სწავლების კურსის ჩატარება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი, რომელიც ახორციელებს გარემოს გლობალური ფონდისა და მსოფლიო ბანკის საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტს (GEF TF 023968 GE), აცხადებს კონკურსს ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის, თუშეთის ეროვნული პარკისა და ვაშლოვანის ეროვნული პარკის თანამშრომლებისათვის ინგლისური ენის სწავლების კურსის ჩასატარებლად მასწავლებლების შესარჩევად.

სასწავლო კურსი ჩატარდება ოთხ ეტაპად: I საფეხური (beginner) 60 სთ., II საფეხური (elementary) 60 სთ., III საფეხური (pre-intermediate) 60 სთ., IV საფეხური (intermediate) 60 სთ. სწავლების კურსის ბოლოს პერსონალს უნდა შეეძლოს საშუალო დონეზე კითხვა, წერა და საუბარი ინგლისურად.

მეცადინეობები ჩატარდება კვირაში სამჯერ, თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობაა 2 საათი. მეცადინეობები თუშეთის ეროვნული პარკის თანამშრომლებისათვის ჩატარდება სოფელ ქვემო ალვანში, ვაშლოვანის ეროვნული პარკის თანამშრომლებისათვის ქ. დედოფლისწყაროში, ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის თანამშრომლებისათვის ქ . ლაგოდეხში.

მოთხოვნილი კვალიფიკაცია

შესაბამისი პროფილის უმაღლესი განათლების დიპლომი, პედაგოგიური საქმიანობის არა ნაკლებ 5 წლიანი გამოცდილება. სასურველია ენის ცოდნის საერთაშორისო სერტიფიკატის ქონა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: ინტერესის გამოხატვის წერილი, კურიკულუმ ვიტა (CV), ორი სარეკომენდაციო წერილი.

განაცხადების ჩაბარების ბოლო ვადაა: 12 დეკემბერი, 2005, 18.00.

მისამართი: საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ცენტრი, ვერიკო ანჯაფარიძის ქუჩა 9, V სართული, თბილისი, 0179, ტელ: (99532) 251566; ფაქსი: (99532) 251349, ელ. ფოსტა: atevdoradze@gpadc.org.ge , ვებ-გვერდი: www.gpadc.org .

Call Center

ჩვენი დახმარებით თქვენი ბიზნესი იქნება წარმატებული

Tel:(995 32) 24 45 98 www.cc.ge

ჩვენ ხომ ქართველები გვქვია!

თამუნა ხარჩილავა

23 ნოემბერი, გიორგობა... ორასამდე ნაირფერ ჩოხაში ჩაცმული მამაკაცი და ულამაზეს, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტანსაცმელში გამოწყობილი ჩოხოსანთა საზოგადოების უმშვენიერესი ქალბატონები... და ქართული საზოგადოების ამ ნაწილს თავის შემოქმედებას უზიარებს ამავე საზოგადოების ანსამბლი...

თუ ვინმეს კითხვა გაუჩნდებოდა - რა ჰქმნიდა ხელოვნების შინაარსის ემოციურ თავისებურებას? საიდან აქვს მას ჯადოსნური" მომხიბვლელობა? ან რა ელემენტებისგან შედგება იგი? ამ კითხვებზე პასუხი უმალ მოვიდოდა მკითხველთან, როცა თორმეტ ახალგაზრდა ჩოხოსანს თვალს შეავლებდით და მათ ხმას ყურს დაუგდებდით... ეს იყო "ჩოხოსანთა" საზოგადოების" წევრთა ჩვეულ შეკრებაზე გამართული, კინოს სახლში ანსამბლ "ქართველების" პირველი კომპაქტ-დისკის პრეზენტაცია.

■ ■ ■

70-იან წლებში აწ განსვენებულმა ბუკა ნაკაიძემ შექმნა "ჩოხოსანთა" საზოგადოება. მაშინ არავის ეგონა, თუ მას მომავალში უამრავი მიმდევარი გამოუჩნდებოდა.

1996 წელს ოფიციალურად დაფუძნდა "საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოება". საზოგადოება დღეისათვის ორასამდე წევრს ითვლის, აქ არიან ჩვენი სასიქადულო თანამემამულენი: მინდია სალუქვაძე, ომარ მხეიძე, თენგიზ არჩვაძე, ჯუანშერ ჯურხაძე, ოტია იოსელიანი, თეიმურაზ გუგუშვილი, მერაბ ბერძენიშვილი, ილია პატაშური, ცუცა კაპანაძე და სხვები. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქართული ტრადიციები იდევნებოდა, კონსტანტინე გამსახურდია არავის და არაფერს ეპუებოდა, ქართულ ჩოხაში გამოწყობილი ამაყად დაანბიჯებდა და ამბობდა: "ხელოვნებაა თავად უკვდავება".

ორიოდე წელია, ხალხური სიმღერის ანსამბლ "ქართველების" წევრები "ჩოხოსანთა საზოგადოების" წევრები გახდნენ. საზოგადოების წევრებმა, შეიძლება ითქვას, გულში ჩაიხუტეს ახალგაზრდა (20 - 25 წ.), მაგრამ დინჯი, საოცრად თავაზიანი, განათლებული და კაცთმოყვარე, ქართული სულით ანთებული და ქართულ სიმღერაზე შეყვარებული ვაჟკაცები.

ანსამბლი 8 შემსრულებლისგან შედგება, რომლებიც სიმღერასთან ერთად, სხვადასხვა სახის ხალხურ ინსტრუმენტზე უკრავენ და მისი იგი ყველა წევრი სოლისტია: **იოსებ სულხანიშვილი, ზვიად ბერაიშვილი, რიჩარდ ქოჩიაშვილი, ირაკლი ფეტვიაშვილი, გიორგი ელისაშვილი, გიგა შალოშვილი, გიორგი მათეშვილი, გიორგი მკერვალიძე.** ანსამბლს ღირსეული შევსება აქვს **მიხეილ ჯავახიშვილის, მიხეილ მდი**

ნარაძის, ლევან წიტაიშვილის, გივი აბესაძის და ნიკა ივანაშვილის სახით.

ანსამბლის ხელმძღვანელს, ქეთი თოფურიას სახლში ვეწვიე, რადგან ანსამბლი ჭავჭავაძის გამზირზე, ქეთის და მისი მეუღლის, ბატონი რევაზის ოჯახში - მათეშვილის სახლში ბუდობს.

- როდის და როგორ ჩამოყალიბდა ანსამბლი "ქართველები"?

- 2002 წლის აგვისტოში ვმონაწილეობდი ერთ-ერთ საერთაშორისო არტ-აქციაში. აქციის ორგანიზატორებმა მთხოვეს, რომ დავხმარებოდი მათ, საქართველოდან აქციაში მონაწილეობა მიეღოთ ქართული ხალხური სიმღერების ახალგაზრდა შემსრულებლებს. აქცია ფინანსურ მოგებას არ ითვალისწინებდა. ამ დროს ჩემი შვილი გიორგი მათეშვილი და ამჟამად ანსამბლის ხელმძღვანელი გიორგი მკერვალიძე თბილისის სამუსიკო გიმნაზიაში ერთ კლასში სწავლობდნენ. მათ ვთხოვე, შეექმნათ ჯგუფი ამ აქციაში მონაწილეობის მისაღებად. ამ აქციის შემდეგ ბიჭებს თავად გაუჩნდათ სურვილი, სერიოზულად მოკიდებოდნენ ამ საქმეს. ასე შეიქმნა ანსამბლი. მე ყველანაირად ვუწყობდი ხელს, რეპეტიციები ყოველ საღამოს ჩემთან სახლში ტარდებოდა. განაწილდა ფუნქციები მე ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი გავხდი, ხოლო გიორგი მკერვალიძე თავიდანვე მოიაზრებოდა ანსამბლის მუსიკალურ ხელმძღვანელად და ასევე დარჩა.

- თქვენ მღერით ჯაზს, აქედან გამომდინარე, სხვა მიმდინარეობას მისდევთ. არ გიძნელდებათ ბიჭებთან მუშაობა?

- მუსიკალური თვალსაზრისით ძალიან ღრმად არ ვიჭრები მათ ფუნქციებში. ისინი ამას გიორგის ხელმძღვანელობით თვითონ აგვარებენ. თითოეული წევრი აქტიურად მონაწილეობს ყოველი სიმღერის შექმნაში. ჩემი ურთიერთობა შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ მე, ასე ვთქვათ, მათი კოორდინატორი ვარ. გამომდინარე იქიდან, რომ მე დიდი ხანია შოუბიზნესში ვარ, მართალია ბოლო წლებში, ძირითადად, საზღვარგარეთ ვმოღვაწეობ, ვიცოდი, რომელ ეტაპზე რა გაგვეკეთებინა, როდის დაგვეწყო სიმღერის ჩაწერა, როდის უნდა ყოფილიყო გადაღება. პრაქტიკულად, მე ვწყვეტ ყველა პრობლემას, რომელსაც ბიჭები თავისით ვერაფრით მოაგვარებენ. მე მათ ვმფარველობ. ანსამბლი თავისი რეპერტუარით კონცერტისთვის მზად არის. ჩვენ გვაქვს პირველი ალბომი, ხოლო გაზაფხულზე კი ჩვენი მეორე ალბომი გვექნება და იმედი მაქვს, პირველ სოლო კონცერტსაც ჩავატარებთ.

ვიცი, რომ გალობთ. ეს მხოლოდ რამდენიმეს გატაცებაა თუ მთლიანად ანსამბლ "ქართველების"?

გიორგი ელისაშვილი: - მე და სოსო საპარტრიარქოს გუნდის წევრები ვართ. ეს გუნდი სამების ტაძარში გალობს, სანამ სამების საკათედრო ტაძარი გაიხსნებოდა, სიონში ვგალობდით. ბიჭებიც - "კირილე" და "მათეც" გალობენ. ხანდახან, როცა ერთად ვართ, ღვთის მსახურებაზე ერთადაც ვგალობთ, რაცა სუფრასთან ვართ და ისეთი თემა წამოიჭრება, იქაც ვგალობთ. თუმცა, სუფრა, როგორც წესი, ლოცვით და გალობით უნდა იწყებოდეს ყოველთვის.

- როგორც ხელმძღვანელზე ბევრი რამ არის შენზე დამოკიდებული თუ ყველა თანაბრად მუშაობთ?

- გიორგი მკერვალიძე: - დიახ, რა თქმა უნდა, ჩემზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მაგრამ მუშაობის პროცესში ყველას აზრია გათვალისწინებული. მაგალითად, სიმღერის დამუშავება და სხვა.

- არაჩვეულებრივი სახელი გაქვთ. ვისი იდეა იყო ანსამბლს "ქართველები" რქმეოდა?

- სოსო სულხანიშვილი: - თავიდან უსახელო ანსამბლი ვიყავით. იდეა სახელწოდებისა მრავალი იყო, მაგრამ... ბევრი ვიფიქრეთ და ბოლოს ქეთომ შემოგვთავაზა, "ქართველები" გვრქმეოდა. ამ სახელმა თავიდან შეგვაშინა, რადგან ბევრს გვავალდებულებდა, მაგრამ ჩვენ ხომ მართლა ქართველები ვართ და ვალდებულებაც ძალიან დიდი გვაკისრია, აქედან გამომდინარე, ანსამბლს "ქართველები" დავარქვით...

ანსამბლს კი ძალიან ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი, რა თქმა უნდა, უფლის ნებით და წყალობით ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენ კვლავაც ერთად ვიქნებით და ჩვენს საქმეს გავაკეთებთ იმ უდიდეს კულტურაში, რასაც ქართული ფოლკლორი ჰქვია...

შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს აუქციონს

ბათუმის საზღვაო ნავსადგური იწვევს დაინტერესებულ პირებს სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების (წიდას) რეალიზაციის მიზნით გამართულ აუქციონში მონაწილეობისთვის. სარეალიზაციო საქონლის მონაცემებია:

დასახელება	წონა (ტონა)	საწყისი ღირებულება (აშშ დოლარი)	ბიჯი (აშშ დოლარი)
სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენები (წიდა)	2054	205400	4108

აღნიშნული საქონელი განთავსებულია ნავსადგურის ტერიტორიაზე. აუქციონზე გამარჯვებულს ევალება გაიტანოს იგი ტერიტორიიდან ხელშეკრულების ხელმოწერიდან **20 დღის ვადაში**.

გამყიდველი: შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური".

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია: საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს სიდიდე არ უნდა იყოს საწყისი გასაყიდი ღირებულების 10 პროცენტზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკურ პირთათვის 10 ლარია, ხოლო იურიდიულ პირთათვის 20 ლარი, მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნეს სს "თი ბი სი ბანკი'-ს ბათუმის ფილიალში, ბანკის კოდი: მფო 220101835, ანგარიშის ნომერი 34700347.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს ნავსადგურის მოთხოვნებს, პირი იძენს მონაწილის სტატუსს.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან **10 დღის** განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საქონლის საბოლოო გასაყიდი ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და ბეს შენატანი არ დაუბრუნდება. ბეს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტისათვის არსებული საბირჟო კურსით.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 2005 წლის 29 ნოემბრიდან 2005 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით, 10 საათიდან 18 საათამდე (შპს ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური, ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, მეორე სართული, იურიდიული განყოფილება).

აუქციონი გაიმართება 2006 წლის 4 იანვარს 15 საათზე, მისამართი: ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ.N11, მეორე სართული, ბათუმის ნავსადგურის სააქტო დარბაზი.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი.
- ბეს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი ბილეთის საბანკო ქვითარი.
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი.
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან, აგრეთვე, ქონების შეძენისა და აუქციონში მონაწილეობის თაობაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება.

დამატებითი ინფორმაცია სარეალიზაციო საქონლის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, მეორე სართული, იურიდიული განყოფილება, ტელ: 74914.

შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური"

მონაცემთა ბაზის ასისტენტი/SLT მდივანი

bp

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს მონაცემთა ბაზის ასისტენტის/SLT მდივნის თანამდებობის დასაკავებლად. მონაცემთა ბაზის ასისტენტი/SLT მდივანი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს აღწერა:

მონაცემთა ბაზის ასისტენტი/SLT მდივანი იმუშავებს BP-ს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გუნდში და პასუხისმგებელი იქნება ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერისა და მთელი გუნდისათვის საჭირო დახმარების გაწევაზე.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

მონაცემთა ბაზის ასისტენტის/SLT მდივნის მოვალეობებს და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

- ზოგადი ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულება საქართველოში BP-ის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მენეჯერისათვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გუნდის ხელმძღვანელისა და ამ გუნდისათვის;
- ზოგადი ადმინიტრაციული სამუშაოს შესრულება უსაფრთხოების ხელმძღვანელობის გუნდისათვის (SLT);
- შეხვედრების (SLT, შეხვედრები ჯანდაცვის საკითხებზე და სხვა) ოქმებისა და დღის წესრიგების წარმოება;
- ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებისადმი პასუხისმგებლობის გამოვლენა;
- BP-ს თანამშრომელთათვის, მათ შორის საველე უსაფრთხოების ოფიცრებისათვის, BP-ს უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ტრენინგების ჩატარებისათვის ხელშეწყობა;
- აქტიური მონაწილეობა უსაფრთხოების პროგრამებში;
- STOP-ისა და ASA-ს პროგრამების მონაცემების განახლება და შემდგომი ქმედების აღრიცხვა;
- შემთხვევების მართვისა და ანალიზის სისტემის (IMAS) ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- მოქმედების აღრიცხვის სისტემის (ATS) მონიტორინგი და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში შესყიდვებისა და მომსახურების შეკვეთების ადმინისტრირება MAXIMO-ს სისტემაში;
- მილსადენის კომპანიაში შემომავალი და გამავალი კორესპონდენციის აღრიცხვა;
- საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტებისა და შეხვედრების თარგმნა;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

მოთხოვნები:

კანდიდატს უნდა ჰქონდეს:

- მინიმუმ ორი წლის სამუშაო გამოცდილება დასავლურ ორგანიზაციაში;
- დოკუმენტების კონტროლის, მათ შორის კორესპონდენციის, მონაცემებისა და ტექნიკური ინფორმაციის მართვის გამოცდილება;
- კანდიდატი თავისუფლად უნდა ფლობდეს ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებს (წერილობით, სასაუბრო);
- შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება: MS Word, Excel, PowerPoint;
- ადმინისტრაციული სისტემების ჩამოყალიბებისა და უზრუნველყოფის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი, თანამშრომლებისა და სხვა გუნდის წევრებთან ურთიერთობის უნარი;
- საჭიროების შემთხვევაში დამატებითი საათების განმავლობაში მუშაობა;
- კონტრაქტებზე და სხვა სახის იურიდიულ დოკუმენტებზე მუშაობის მრავალმხრივი ცოდნა/გამოცდილება;
- შეხვედრების ოქმების წარმოების (სტენოგრაფიული ან სწრაფი ჩანაწერების გაკეთება) გამოცდილება და უნარი.

კანდიდატი უნდა:

- უწყობდეს ხელს უსაფრთხოების კულტურის "საფეხურეობრივ განვითარებას";
- მზად იყოს, საჭიროების შემთხვევაში, გაემგზავროს და დარჩეს ქალაქგარეთ.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **30 ნოემბერი, 2005 ოთხშაბათი**.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
BP Explorations Caspian Sea Ltd.

უსაფრთხოების ასისტენტი

bp

btc

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს უსაფრთხოების ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად. უსაფრთხოების ასისტენტი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს აღწერა

უსაფრთხოების ასისტენტი ანგარიშვალდებული იქნება მილსადენის კომპანიის უსაფრთხოების მენეჯერის წინაშე და მისი ძირითადი მოვალეობაა ზოგადი დამხმარე ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულება.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები

უსაფრთხოების ასისტენტის მოვალეობებს და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

- ზოგადი ადმინისტრაციული დახმარების გაწევა მილსადენის კომპანიის უსაფრთხოების მენეჯერისათვის;
- BP-ს თანამშრომელთათვის, მათ შორის საველე უსაფრთხოების ოფიცრებისათვის, BP-ს უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ტრენინგების ჩატარებისათვის ხელშეწყობა;
- გუნდების მიერ ჩატარებული სამუშაოს მიხედვით მილსადენის გასხვისების დერეფნის რუქის განახლება დათვარიელების ფურცლების ყოველღიური მოთხოვნის საფუძველზე;
- მილსადენის ინცინდენტების ანგარიშების დაარქივება და ორგანიზება;
- შემთხვევების მართვისა და ანალიზის სისტემის (IMAS) ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- მონაცემთა ბაზის წარმოება ყველა იმ შემდგომი ქმედების აღსარიცხავად, რომელიც თან მოჰყვება ინცინდენტების/პოტენციური ინციდენტების ანგარიშებს;
- ყოველთვიური ბიულეტენის მომზადება და გამოშვება;
- ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებისადმი პასუხისმგებლობის გამოვლენა;
- აქტიური მონაწილეობა უსაფრთხოების პროგრამებში;
- დახმარების გაწევა "მიღებული გამოცდილების" ანგარიშების წარმოებაში, რათა მოხდეს კორექციული მოქმედების განხორციელება; "მიღებული გამოცდილების" ანგარიშების წარმოების მიზანია შეინარჩუნოს და აკონტროლოს თავდაპირველი ინციდენტი და თავიდან იქნას აცილებული დაშვებული შეცდომის განმეორება;
- "მიღებული გამოცდილების" ანგარიშების დაარქივება და ორგანიზება;
- მილსადენის კომპანიაში შემომავალი და გამავალი კორესპონდენციის აღრიცხვა (DVR-ების ჩათვლით);
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში შესყიდვებისა და მომსახურეობის შეკვეთების ადმინისტრირება და კონტროლი MAXIMO-ს სისტემაში;
- საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტებისა და შეხვედრების თარგმნა;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

მოთხოვნები:

კანდიდატს უნდა ჰქონდეს:

- მინიმუმ ორი წლის სამუშაო გამოცდილება დასავლურ ორგანიზაციაში;
- დოკუმენტების, მათ შორის კორესპონდენციის, მონაცემებისა და ტექნიკური ინფორმაციის, კონტროლის გამოცდილება;
- კანდიდატი თავისუფლად უნდა ფლობდეს ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებს (წერილობით, სასაუბრო);
- შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება: MS Word, Excel, PowerPoint;
- ადმინისტრაციული სისტემების ჩამოყალიბებისა და უზრუნველყოფის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი, თანამშრომლებისა და სხვა გუნდის წევრებთან ურთიერთობის უნარი;
- საჭიროების შემთხვევაში დამატებითი საათების განმავლობაში მუშაობა;
- კონტრაქტებზე და სხვა სახის იურიდიულ დოკუმენტებზე მუშაობის მრავალმხრივი ცოდნა/გამოცდილება;
- შეხვედრების ოქმების წარმოების (სტენოგრაფიული ან სწრაფი ჩანაწერების გაკეთება) გამოცდილება და უნარი.

კანდიდატი უნდა:

- უწყობდეს ხელს უსაფრთხოების კულტურის "საფეხურეობრივ განვითარებას";
- მზად იყოს, საჭიროების შემთხვევაში, გაემგზავროს და დარჩეს ქალაქგარეთ.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **30 ნოემბერი, 2005 ოთხშაბათი**.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
BP Explorations Caspian Sea Ltd.

აქცენტი

დიდი ინტერპრეტატორის რთული თამაშები

მაინც ვინ არის ვალიკო?

მას შემდეგ, რაც რუსთაველის თეატრი რემონტისთვის დაიხურა, სულ მალე ახალი ამბავი გავიგეთ: რობერტ სტურუა, ძალიან ძველ იდეას, ლაშა ბუღაძის ხუთწუთიან პიესებს ისევ მიუბრუნდა და მათ განხორციელებას აპირებსო. მაშინ ყველაფერი სხვაგვარად იგეგმებოდა: 25 პიესა-სკეტჩი ერთიმეორეს შეცვლიდა. სტურუამ საქმე კიდევ ორ ახალგაზრდა რეჟისორს, სანდრო ბრეგაძეს და ნიკა მშველიძეს გადაუნაწილა. წარმოდგენაში რუსთაველის თეატრის სხვადასხვა თაობის მსახიობები მიიღებდნენ მონაწილეობას. დაახლოებით ერთწლიანი მუშაობის შემდეგ, თეატრში მისულებს სულ სხვა რამ დაგვიხვდა. ორი პიესა, მხოლოდ სტურუა და მხოლოდ ახალგაზრდა მსახიობები. ნაცვლად "პ 25 პ"-სა საკმაოდ ვრცელი სათაური, ისეთი, რომლის დამახსოვრებაც ცოტა რთულია: "ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი... და პრეზიდენტი". კომედია ორ მოქმედებად, მხატვარი - თემურ ნინუა, ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე. საპრემიერო სპექტაკლები 25, 26 და 27 ნოემბერს გაიმართა, იმის მიუხედავად რომ რუსთაველის თეატრი საკუთარ მენეჯმენტში მედიასთან ურთიერთობას და საკუთარი საქმისა და მიღწევების ამ გზით პოპულარიზაციას არ ითვალისწინებს, ჭეშმარიტი მეგობრობის წყალობით, სპექტაკლზე მაინც აღმოვჩნდი და დღევანდელი აქცენტის თემაც დაიბადა.

რობერტ სტურუა

ლაშა ბუღაძე



სოფო კილასონია

დარბაზში გაკეთებული ჩანაწერებიდან: "ვალიკო, ვალიკოოო! ისმის გაუთავებელი შეძახილები სცენაზე. - ვალიკო შუუუ..., ვალიკო მუუუ..., ვალიკო, ანეკდოტი, ვალიკოოო... საერთოდ, იცნობთ ვალიკოს? უკვე სტურუას ვალიკოს ვგულისხმობ. ახალი საქართველოს გმირს, ნამდვილ მამას, საამაყო მეუღლეს, ანგელოზების ფავორიტს? ჯერ არაა? ვალიკო ერთი არაჩვეულებრივი ვინმეა, თუნდაც იმიტომ რომ ანგელოზებს ელაპარაკება, თანაც სულ სხვაგვარ ანგელოზებს, ყველაფერზე წამსვლელ ანგელოზებს, განქსტერებს და მკვლელ ანგელოზებს. - ვალიკოოო, კიდევ ყვირიან, და მაინც ვინ არის ეს ვალიკო, რა გახდა ამდენი ვალიკო და რას ერჩიან ვალიკოს? - მრცხვენია, მაგრამ მებადება ამდენი კითხვა. ამიტომაც წარსულს ვუბრუნდები, სპექტაკლს სულ ცოტა ხნით ვწყდები და..."

"ვალიკოს ამბავი" ნამდვილად ლაშა ბუღაძის პიესაა, სწორედ ის ერთ-ერთი პატარა სკეტჩი, რომელიც სხვა, მეორესთან ერთად აარჩია რეჟისორმა. პიესაში ჩვენს მონა-მორჩილ ვალიკოს მეუღლე ჰყავს, თან სანგრებს თხრის და ქათამი ანგელოზად ელანდება. პატარა ანგელოზი, რომელიც ომის თემაზე ანეკდოტის მოყოლას ჰპირდება. საერთოდ, ისე როგორც ყველა, ბუღაძის აღნიშნული და ერთ დროს სპეციალურად რობერტ სტურუასთვის დაწერილი ეს ოცდახუთივე პიესა სოციალური, სადღაც რეალიზმშეპარული, მაგრამ მაინც აბსურდები. ამ წინააღმდეგობაში დაბადებული კომიზმითა და მაქსიმალური ლაკონიზმით. მიუხედავად ერთგვარი ენობრივი თუ ფორმისეული სიმარტივისა, სიმსუბუქისა, მათში ერთი ამოსუნთქვით იხატება ამბავი, გარემო, ტიპაჟი.

მაშინ, როცა ეს პისები პირველად წავიკითხე, წარმოვიდგინე სპექტაკლი, სადაც სტურუასთვის დამახასიათებელ ტემპო-რიტმში და საერთო დინამიკაში როგორ გაერთიანდებოდა ყოველი მათგანი, როგორ დაიხატებოდა და მერე როგორ აირეოდნენ ერთმანეთში ვინმე ციცო, გიო, შოთა და ლალი, ბებიები, შვილიშვილები, მეზობლები, გაბოროტებული ცოლები, დაძაბული გოგონები, ანუ როგორ ავიდოდნენ სცენაზე ჩვენთვის ყველასთვის ცნობილი და ცნობადი ადამიანები, პატარ-პატარა სოციუმების ბელადები. პიესების ზუსტი ილუსტრაცია რომ არ მოხდებოდა (მაგალითად ისე, როგორც "მხატის" დასმა გააკეთა და გასულ ნოემბერს თბილისში წარმოგვიდგინა), საფუძველშივე ცხადი იყო. ანდა რატომ უნდა მომხდარიყო?! დიდი ინტერპრეტატორი რეჟისორისთვის ეს ზედმეტად მარტივი იქნებოდა. მაგრამ აქვე დავსვათ კითხვა: რა ინტერესი უნდა ჰქონდეს ზოგადად რეჟისორს საერთოდ, როცა ახალ-ახალ ავტორებს ირჩევს? პასუხი მგონია, რომ ნათელია, - იპოვოს ახალი, არა მხოლოდ სიუჟეტური თვალსაზრისით, არამედ ფორმისეული თვალსაზრისით, ახალი აქცენტები, ახალი მეტყველება, ახალი რიტმი, იქნებ და ახალი თეატრიც. რამ დაიინტერესა უკვე ამ შემთხვევაში სტურუა, ბუღაძის პიესებმა?

ჩანაწარები დარბაზიდან: "სცენაზე ნაცნობი სივრცული გაშლაა. სტურუას მონატრებული სივრცე. თეთრი ფონები და მის ფონზე, იმპოზანტურად მდგარი ხან ერთი და ხანაც მეორე. არის რაღაც მისტიკური, იდუმალი. სცენის შიდა კედლები ღიაა და შიშველი, არის ამაშიც რაღაც მიმზიდველი. აივანზე სტალინი დგას, ვალიკო საქართველოს ჰიმნს მღერის: "ჩემი ხატია სამშობლო..." სამშობლოს ხსენებაზე იჯღანება. აშკარად კომპლექსები აწუხებს, რისი კომპლექსი? - დაბეჩავებული სამშობლოს კომპლექსი. რა აწუხებს? - სტალინის ჩრდილი. ეს ყველაფერი იმაზე მეტად არის გასაგები ვიდრე ათი წლის წინ იქნებოდა. მაგრამ მაინც გვიღეჭავენ რეალობას...

მაყურებელი ორად გაიყო, ზოგი ხვნეშის, ზოგს კმაყოფილი სახე აქვს. ბუღაძის უსუსური ვალიკო და მისი პაწაწინა ანგელოზი, სტურუას სცენაზე საშიშ და მნიშვნელად პერსონებად იქცნენ, პათეტიკა, აქცენტები, მუსიკა, ცეკვა, კიდევ ცეკვა, კიდევ... თითქოს რაღაცისთვის ემზადება სცენა, რაღაცის დაბადებისთვის ემზადება და ისევ იგივე პათეტიკის, რელიგიური კომპოზიციების სიმძიმით დატვირთული კადრები იბადება. მერე აფრინდებიან, დაიხოცებიან, იყვირებენ, ხატებს შექმნიან და ხატებად იქცევიან. ჩაბნელდება, განათდება, ძველებურად შეგვეშინდება, მოკლედ არც არაფერი ახალი არ მოხდება. ქართველები თვითგვემას იწყებენ და ამ ყოველივეს პანტომიმით ძალიან ოსტატურად მოახერხებენ. სადაა ტექსტები? ტექსტები არაა. არის ბგერები და მხოლოდ ორი სიტყვა: ვალიკო და სამშობლო. დიდი პაუზები და გაწელილი სცენები, მაგრამ ჩვენ უკვე გავიზარდეთ და სულ სხვაგვარი მადა გაგვეხსნა, თანაც აღარ გვინდა ომი..."

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სპექტაკლში რეჟისორი არათუ ინტერპრეტაციას ახდენს, არამედ საკუთარ ამბავს თხზავს, სულ სხვა ისტორიას იგონებს და სულ სხვა განზომილებაში გადის, ვიდრე დრამატურგი მოიაზრებდა, მაშინ რითი დაინტერესა ლაშა ბუღაძის "ვალიკოს ამბავმა" და საერთოდ ამ ავტორმა რეჟისორი, ნამდვილად არ ვიცი. სამგვერდიანი პიესა საათნახევრიან წარმოდგენად იქცა, თუმცა ისე რომ მისი ნახევარიც არ გამოყენებულა სპექტაკლში. რაც შეეხება მეორე ნაწილს, ანუ "პრეზიდენტსა და დაცვის ბიჭს" აქ მაყურებელი აშკარად ფხიზლდება. შესაძლოა იმიტომ, რომ მეტს საუბრობენ, შესაძლოა იმიტომაც, რომ ვითარებაში ბევრად მარტივად ერკვევიან, მაგრამ ალბათ მაინც იმიტომ, რომ პრეზიდენტის სახე ეცნობათ, ტიპიურ სიუჟეტში, ტიპურ პარალელებს ავლებენ და ამით შესაძლოა, ხალისდებიან. სახალისო და სასიამოვნო კიდევ არის რაღაც-რაღაცეები. მაგალითისთვის ის, რომ ძირითადად ახალგაზრდა მსახიობები საკმაოდ კარგად ირჯებიან და თანაც კარგადაც ცეკვავენ, არც თუ ისე გემოვნებიან ქორეოგრაფიულ მონახაზებს ოსტატურად ერკინებიან. სახალისოა რეი ჩალზისა და კიდევ სხვების სიმღერები, მელოდიები, რომლებიც ქართველების ამერიკანიზაციის მტკივნეულ და საჭირბოროტო საკითხებს რომ ფენენ ნათელს. მოკლედ სპექტაკლი-მიუზიკლი დღევანდელ და გუშინდელ საქართველოზე ნამდვილად საინტერესოა, მაგრამ გააჩნია ვის რისი ნახვა სურს თეატრში. ვინ რას ელის "ახალი თეატრისგან."

ზუსტად ვიცი, რომ ამ სპექტაკლის განხორციელების სურვილი პირდაპირ კავშირშია იმასთან, რასაც სინამდვილის დანახვას ვეძახით ხოლმე და ეს ძალიან სასიამოვნო ფაქტია. ზუსტად ვიცი, რომ ლაშა ბუღაძის ბიოგრაფიაში რუსთაველის თეატრის ეს თეატრალური სეზონი მნიშვნელოვნად გამორჩეულ ადგილს დაიკავებს, იმის მიუხედავად, რომ მასზე, როგორც ნიჭიერი დრამატურგის იმიჯზე არა მგონია ამ სპექტაკლმა დადებითად იმოქმედოს.

ჩანაწერები დარბაზიდან: "ყველაფერი შეიცვლებაო, ამბობს პრეზიდენტი, მერე ჰიმნი იწყება. მაინც სად შეიცლება ყველაფერი, სცენაზე თუ გონებაში, სად და ვინ შეცვლის? პრინციპში შეიცვალა ასახვის საგანი. შექსპირს, მოლიერს, ჩვენი დროის ქართველი, თავად ლაშა ბუღაძე ჩაენაცვლა. სხვა ჩაენაცვლა, მაგრამ ჯერჯერობით იგივე დარჩა მეთოდი. თანამედროვე ტექსტმა ვერ შეცვალა ვერც გარემო, ვერც განწყობა. წერია კომედია, ისევ ვუყურებთ დრამას. იტყვიან, რომ სუსტი დრამატურგიის ბრალია... სპექტაკლის ხილვისა და მოსმენის შემდეგ ნამდვილად გაგვიჭირდება საწინააღმდეგო ვთქვათ, მაგრამ აქვე ის მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ორი პიესა ნამდვილად არ შერჩეულა იმიტომ, რომ ისინი საუკეთესონი იყვნენ ამ ოცდახუთს შორის, მეორე კი ის, რომ არც ერთი მათგანი ცალკე აღებული არ არის შესაფერისი და იმდენად "მდიდარი", რომ სამსაათიანი წარმოდგენა ასაზრდოონ. ფაქტია, რომ ამ სკეტჩებს ამაზე პრეტენზია არ ჰქონიათ, ისინი სულ სხვა სტილსა და ფორმას ითხოვდნენ, სულ სხვაგვარ ტემპებსა და მელოდიებს. ალბათ აქედანაა მდიდრული იმპროვიზაციები და რთული თამაშებიც."

მაყურებელი? ხო მართლა, რა იქნებოდა ნებისმიერი წარმოდგენა მათ გარეშე? არაფერი. მაყურებელს კამათი ჩვენთან არ უყვარს. ის დღეს ძალიან პასიურია. მაგრამ არიან ისეთებიც ვინც პრეტენზიას მუდამ მეტზე აცხადებენ, ხან ინტელექტუალიზმზე, ხან მეტ სანახაობაზე, ხანაც კიდევ რაზე... მთავარია ერთზე შევთანხმდეთ. კომედიაზე ვიცინოთ, ირონია გავიგოთ, აბსურდი რეალობაში დავინახოთ, აზროვნება დავიწყოთ და ცეკვა-თამაშს მოვუკლოთ. მთავარი ის არაა, ახალი გვინდოდეს, მთავარია გვესმოდეს როდის რა იქნება სიახლე და მაშინ მივიღებთ სცენაზე იმას, რანიც ვართ და რაც სინამდვილეში გვინდა რომ ვიყოთ. რობერტ სტურუამ ალბათ ზუსტად დაინახა ჩვენ რანიც ვართ და როგორია ჩვენი იდეალებიცა და კომპლექსებიც.

ჩანაწერებიდან: "დიახ, ალბათ მართალს ამბობს რეჟისორი, ყველაფერი შეიცვლება ოღონდაც როდესმე და არა დღეს. დღეს ჩვენ ჯერ ჰიმნი გვაქვს სასწავლი, მერე სიტყვა სამშობლო დასამარცვლი, მერე ამა ქვეყნის ბელადების ჭიან კბილებს მივხედავთ. ინტელეტქი, კულტურა, ცოდნა და მსგავსი რაღაცეები მოიცდის. დღეს ჩვენ ისევ სტალინის ორსაზოვნებაზე ვმსჯელობთ, ძველ კერპებს ვამხობთ და ახალ გენიოსებს ვიგონებთ."

■ ■ ■

26 ნოემბერს საპრემიერო სპექტაკლის მსვლელობის პარალელურად, ლაშა ბუღაძემ საკუთარი პიესების კრებული წარუდგინა მისულ საზოგადოებას. "25 პ პ", ანუ ოცდახუთი პატარა პიესა. მათგან ზოგი სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა, ზოგი კი პირველად ამ კრებულში დაიბეჭდა. უმეტესობა თარგმნილია რამდენიმე ენაზე და დადგმულია სხვადასხვა თეატრში, და არა მხოლოდ საქართველოში. ახალი წიგნის გამომცემელი ბუღაძის ერთგული "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაა". კრებულის პრეზენტაცია წიგნის მაღაზიებში ჯერ არ მომხდარა, მიუხედავად ამისა, მათი შეძენა უკვე მკითხველისთვის შესაძლებელია. წაიკითხეთ, იქნებ და ჩემგან განსხვავებით თქვენ მიაგნოთ პასუხს კითხვაზე, - მაინც ვინაა ვალიკო?

CSL
ევროპის სამართლის სკოლა
EUROPEAN SCHOOL OF LAW

სიახლე!
კავკასიის უნივერსიტეტში
(ყოფილი კავკასიის
ბიზნესის სკოლა - CSB)

2006 წლის იანვრიდან პირველად ფუნქციონირებას იწყებს ახალი სამაგისტრო პროგრამა - "საჯარო და ინფორმაციული სამართალი LL.M". საგანმანათლებლო სერვისი განკუთვნილია იურიდიული, საერთაშორისო, ჟურნალისტიკის, ინფორმატიკისა და საბანკო საქმის ბაკალავრებისა და დიპლომირებული სპეციალისტებისათვის. საბუთების მიღება იწყება 17 ნოემბრიდან.

ინფორმაციის მისაღებად მოგვმართოთ:
ქ. თბილისი, 0175
კოსტავას ქ. 77 სტუ.VI კორპ. IV სართული.
ტელ: 941 691 364 680. მობ: 899 530 751
ფაქსი: 313 226
ელ.ფოსტა:info@csl.ge
ვებ.გვერდი:www.csl.ge
საკონტაქტო პირი:გიორგი ფირცხალაიშვილი

ყურადღება!
"რესტორანი
დაკარგული სამოთხე"
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207

небо ссср-მა ახალი ალბომი გამოუშვა

27 ნოემბერს ახლად გახსნილ კლუბ fly-ში ჯგუფ небо ссср-ის კონცერტი და ალბომის პრეზენტაცია შედგა. კონცერტი "ქართული წესით", 2 საათის დაგვიანებით დაიწყო, კლუბში შეღწევა კი ბასტილიის ციხის აღებას მოგაგონებდათ. ეს ალბათ არა ორგანიზებულობის ბრალი იყო, თუმცა, როგორც აღვნიშნე, fly ახალი გახსნილია და იმედია, მომავალში მსგავს მოვლენებს ნაკლებად ექნება ადგილი.

კონცერტი, როგორც იქნა, დაიწყო, თანაც ძალიან ენერგიულად. ჯგუფმა შეასრულა სიმღერები ახალი ალბომიდან самолёты, შემდეგ კი ძველი სიმღერებიც გაიხსენა, რითაც მსმენელი ძალიან გაახარა. კლუბში, სადაც საკმაოდ ცივა, როკ-მუსიკის ჰანგების წყალობით, ცოტა ხანში ტემპერატურა აღარავის ახსოვდა. ლაივი საინტერესო გამოვიდა, როგორც ძირითადად ხდება ხოლმე ამ ჯგუფის შემთხვევაში. საშემსრულებლო დონე მაღალი იყო, ალკოჰოლის ზეგავლენა "დაბალი", სიმღერები - კარგი მოსასმენი, ამავე დროს, ენერგიული და ცოტა მძიმე.

ჯგუფი небо ссср 2002 წლის გაზაფხულზე შეიქმნა. მათი კარიერა, შეიძლება ითქვას, რუსეთში დაიწყო, რადგან თავიდანვე გაემგზავრნენ მოსკოვში და პირველი კონცერტები იქ გამართეს. რამდენიმე თვის შემდეგ დაბრუნდნენ საქართველოში და გადაწყვიტეს შემოქმედება სამშობლოში გაეგრძელებინათ. ჯგუფს გამოშვებული აქვს ორი ალბომი: наша post любовъ, რომელიც 2004 წლის ოქტომბრით თარიღდება და ზემოთ ხსენებული самолёты. სიმღერები რუსულენოვანია. ტექსტების ავტორია კოტე კალანდაძე. მუსიკას ასევე კოტე და ნიკა ბუზალაძე წერენ. აქვე გაგაცნობთ ჯგუფის შემადგენლობას: კოტე კალანდაძე - ვოკალი, ნიკა ბუზალაძე - გიტარა, დიმა ოგანეზიანი - დრამი.

небо ссср ძირითადად კლუბებში მართავს კონცერტებს, ასევე გამოდის ფესტივალებზე. გადაღებული აქვთ 4 ვიდეოკლიპი. ჯგუფს საკმაოდ ბევრი მსმენელი ჰყავს თბილისში. მათ უსმენენ როგორც მძიმე, ასევე შედარებით მსუბუქი როკის მოყვარულები.

აღსანიშნავია, რომ მომავალ წელს небо ссср ისევ გეგმავს მოსკოვში წასვლას. ჯგუფის წევრებს სურთ, საკუთარი შემოქმედება რუს მსმენელსაც გააცნონ. ვნახოთ, როგორ მიიღებენ ქართულ-რუსულ ალტერნატივას რუსეთში. მანამდე კი წარმატება და ბევრი კარგი კონცერტი ვუსურვოთ მათ.

მარიონეტების თეატრი
3,4,10,11,17 და 18 დეკემბერი
"ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დამდგმელი რეჟისორი
რეზო გაბრიაძე
სპექტაკლის დასაწყისი
19 საათზე
იოანე შავთელის ქ.№26